# სახელოვანი ნახევარი საუკუნე

## გუშინ ზეიმით აღინიშნა აზერბაიჯანის სსრ და აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

3 ოქტომბერი შაბათი 1970

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 231 (14835)

## ბრძანებულება

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოების შესახებ

აზერბაიჯანის სსრ მშრომელთა დიდი დამსახურებისათვის რევოლუციურ მოძრაობაში, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური მრავალეროვანი სახელმწიფოს განმტკიცებისათვის ბრძოლაში, ჩვენი სამშობლოს მტრების წინააღმდეგ ბრძოლებში გამოჩენილი გმირობისა და კომუნისტურ მშენებლობაში წარმატებებისათვის აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას დაჯილდოვდეს ოქტომბრის რევოლუციის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1970 წ. 2 ოქტომბერი.



## აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ ულოცავენ აზერბაიჯანის მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, ყველა მშრომელთ და მათ მებრძოლ ავანგარდს — კომუნისტებს ღირსშესანიშნავ იუბილეს — აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ორმოცდამეათე წლისთავს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია ისტორიული შემობრუნება იყო აზერბაიჯანის მშრომელთა ცხოვრებაში, სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან გაათავისუფლა ისინი. ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით მუშათა კლასმა, მშრომელმა გლეხობამ გარეშე და შინაური მტრების წინააღმდეგ მწვავე კლასობრივ ბრძოლაში მოძმე ხალხების მხარდაჭერით დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება. ბაქოს პროლეტარიატმა ბრწყინვალე ფურცლები ჩაწერა ჩვენი ქვეყნის რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში. რესპუბლიკის მუშებმა, გლეხებმა და ინტელიგენციამ შესანიშნავი წარმატებები მოიპოვეს სოციალიზმის აშენების ლენინური გეგმის განხორციელებაში, დიდი წვლილი შეიტანეს გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე საბჭოთა ხალხის გამარჯვებაში დიდი სამამულო ომის დროს.

საბჭოთა ხელისუფლების ორმოცდაათი წლის განმავლობაში აზერბაიჯანი მეფის რუსეთის ჩამორჩენილი განაპირა მხარიდან სსრ კავშირის ხალხთა ძმური თანამეგობრობით გადაიქცა რესპუბლიკად, რომელსაც აქვს მაღალგანვითარებული ნავთობის, ქიმიური, მანქანათსამშენებლო, მეტალურგიული, სამთამადნო, ელექტროტექნიკური, ხელსაწყოთსამშენებლო მრეწველობა. სამრეწველო წარმოების მოცულობა ამ წლების განმავლობაში თითქმის 70-ჯერ გაიზარდა. უდიდესი ცვლილებები მოხდა სოფლის მეურნეობაში. უმაგალითოდ აყვავდა მეცნიერება, განათლება და სოციალისტური კულტურა. მნიშვნელოვნად ამაღლდა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა.

აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის წარმატებანი მკაფიოდ ადასტურებენ სოციალისტური წყობილების, ლენინური ეროვნული პოლიტიკის, საბჭოთა ხალხების ურღვევი ძმობისა და მეგობრობის ზეიმს.

აზერბაიჯანის მშრომელთა მიღწევები განუყრელად დაკავშირებულია რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის საქმიანობასთან. აზერბაიჯანის კომპარტია თავისი ნახევარი საუკუნის ისტორიის ყველა ეტაპზე აქტიურად რაზმავდა მშრომელებს სოციალიზმის აშენებისათვის საბრძოლველად, ზრდიდა მათ კომუნიზმის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეალებისადმი ერთგულების სულისკვეთებით. პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით საბჭოთა აზერბაიჯანის მშრომელები წარმატებით განაგრძობენ შრომითს ვახტს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად, იბრძვიან ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განხორციელებისათვის, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, სკკპ XXIV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გულითადად ულოცავენ აზერბაიჯანის სსრ მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას მთავრობის მაღალ ჯილდოს — ოქტომბრის რევოლუციის ორდენს და გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ აზერბაიჯანის კომპარტიის ხელმძღვანელობით რესპუბლიკის მშრომელნი კვლავაც აქტიურად იბრძოლებენ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის.

გაუმარჯოს აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს აზერბაიჯანის კომუნისტურ პარტიას — სკკპ მებრძოლ რაზმს!

გაუმარჯოს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ხალხთა ლენინურ მეგობრობას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ლენინურ კომუნისტურ პარტიას, — ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის შთამაგონებელსა და ორგანიზატორს!

სკკპ ცენტრალური კომიტეტი | სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი | სსრკ მინისტრთა საბჭო



ბაქო. 2 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი ოქტომბრის რევოლუციის ორდენს ამაგრებს აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის დროშას.

საქდესი (მიღებულია საქდესის ფოტოტელეგრაფით).

## საბჭოთა ხალხის ძმურ ოჯახში, ლენინური გზით

### აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომა

**ნახევარი** საუკუნის წინათ აზერბაიჯანის თავზე საბჭოების წითელი დროშა აფრიალდა. აზერბაიჯანელი ხალხის ცხოვრებაში მოხდა მოვლენა, რომელიც ნიშნავდა ძირეულ გადატრიალებას მის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება, რომელმაც დაამსხვრია სოციალური და ეროვნული ჩაგვრის ბორკილები, გამოიხატა აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის შექმნით.

ჩამორჩენილობიდან — პროგრესისაკენ, პრიმიტიული მეურნეობიდან —მაღალგანვითარებული სოციალისტური ეკონომიკისაკენ, ფეოდალური და კაპიტალისტური ბატონობიდან — თავისუფალი ბედნიერი ცხოვრებისაკენ — ასეთი გზა განვლეს აზერბაიჯანელმა მშრომელებმა ნახევარი საუკუნის მანძილზე კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხთან მჭიდრო თანამშრომლობით. აზერბაიჯანის სს რესპუბლიკისა და აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავს მოძმე რესპუბლიკასთან ერთად მთელი ქვეყანა დღესასწაულობს.

2 ოქტომბერს ბაქოში გაიმართა აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომა პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საბჭოთა არმიის მეომრების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

აზერბაიჯანის მ. ფ. ახუნდოვის სახელობის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრი. აქ მოვიდნენ რესპუბლიკის მშრომელთა წარმომადგენლები — საბჭოთა აზერბაიჯანის სახელოვანი ნახევარი საუკუნის ისტორიის შემოქმედნი. ეს ისინი არიან, ვინც საბჭოთა ხელისუფლება მოიპოვა, ვინც თავისი გმირული საქმეებით ბრძოლებსა და შრომაში სახელს უხვევდა სამშობლოს,— სოციალისტური შეჯიბრების მოწინავენი, წარმოების ნოვატორები, მეცნიერები, მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწენი. ბევრ მათგანს მკერდს უმშვენებს საბჭოთა კავშირის გმირის, სოციალისტური შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავები, სამშობლოს საბრძოლო და შრომითი ჯილდოები.

...დილის 10 საათია. დამსწრეთა ტაშის გრიალში პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, პ. ე. შელესტი, დ. ა. კუნაევი, ვ. პ. მჟავანაძე, შ. რ. რაშიდოვი, აზერბაიჯანის პარტიული საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, ზეი-

(გაგრძელება მე-4 გვ.).

## გულითადი შეხვედრები

„ნავთობი დედამიწის სისხლია, და მისი სიყვარული სისხლში აქვთ გამჯდარი ბაქოს პროლეტარებს". — ასე წერდა ორმოცი წლის წინათ ვლადიმერ მაიაკოვსკი, როცა ნახა აქ მენავთობეთა — პირველი ხუთწლედის დამკვრელთა მოსაზრებულობა, გაქანება და გამბედაობა.

რუსეთის პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის ისტორიაში ბევრი სახელოვანი ფურცელი ჩაწერეს აზერბაიჯანელმა მენავთობეებმა. საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ქარცეცხლში — პირველი ხუთწლედების სწრაფი ტემპის პირობებში, დიდი სამამულო ომის მკაცრ წლებში ისინი იყვნენ ჩვენი მუშათა კლასის პირველ რიგებში. ნავთობის მძებნელთა და მომპოვებელთა ახლანდელმა თაობამ ღირსეულად მიიღო მამათა ესტაფეტა და თავისი თავდადებული შრომით დიდი წვლილი შეაქვს კომუნისტური მშენებლობის საყოველთაო-სახალხო საქმეში.

ქვიშის კუნძულზე — კასპიის ზღვის მენავთობეთა ერთ-ერთ ბასტიონში — 1 ოქტომბერს სერებროვსკის სახელობის ნავთობსარეწი სამმართველოს მუშებთან და მოსამსახურეებთან ჩამოვიდნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, პ. ე. შელესტი, დ. ა. კუნაევი, ვ. პ. მჟავანაძე, შ. რ. რაშიდოვი, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ჰ. ა. ალიევი, აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. კ. ა. ხალილოვი, აზერბაიჯანის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ა. ი. იბრაგიმოვი, მოძმე რესპუბლიკების დელეგაციათა ხელმძღვანელები, რომლებიც მონაწილეობენ საიუბილეო ზეიმში.

სამკილომეტრიანი ხელოვნური დამბა კუნძულს აერთებს ნაპირთან. აქედან, კუნძულიდან, ზღვის შორეთში 40 კილომეტრზე მეტ მანძილზე გადაჭიმულან ესტაკადები. ერთ-ერთი ასეთი გზით სტუმრები წავიდნენ პირველი ნავთობსარეწის მეხუთე უბანში. 18 კაცი შრომობს აქ. ისინი ემსახურებიან 30-ზე მეტ ჭაბურღილს. იმ ერთსულოვან კოლექტივში გაერთიანებული 7 ეროვნების წარმომადგენლებმა, რომელსაც მიენიჭა კომუნისტური შრომის კოლექტივის წოდება, ვადამდე შეასრულეს 9 თვის პროგრამა.

ესტაკადისპირა № 60 მოედანზე, რომელიც კუნძულიდან სამ კილომეტრზეა, სტუმრები თვალყურს ადევნებდნენ ნავთობის ჭაბურღილთა მუშაობას, გაეცნენ ნავთობის მოპოვების ტექნოლოგიას, მენავთობეთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობებს.

გაერთიანება „კასპზღვანავთობის" უფროსმა სოციალისტური შრომის

(დასასრული მე-4 გვ.).

# საბჭოთა აზერბაიჯანის ორმოცდაათი წელი

## ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

**ძვირფასო ამხანაგებო! მეგობრებო!**

დღეს აზერბაიჯანის მშრომელებს, მთელ საბჭოთა ხალხს დიდი დღესასწაული აქვთ. ჩვენ აღვნიშნავთ აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის შექმნისა და რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავს. ნახევარი საუკუნის წინ კლასობრივი ბრძოლების ქარცეცხლში იშვა აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. დიდი ოქტომბრის რევოლუციით შთაგონებულმა პროლეტარიატმა და მშრომელმა გლეხობამ ისტორიული გამარჯვება მოიპოვეს ბურჟუაზიულ-მემამულურ რეაქციასა და უცხოეთის იმპერიალიზმის ძალებზე.

ნება მიბოძეთ, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელით მხურვალედ მივულოცო დღევანდელი საზეიმო სხდომის მონაწილეებს, მათი სახით კი ყველა მუშას, კოლმეურნეს, ინტელიგენციას — აზერბაიჯანის ყველა მშრომელს სახელოვანი იუბილე — აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიისა და რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავი.

აზერბაიჯანელი ხალხის რევოლუციური ბრძოლის მთელი ისტორია განუყრელად დაკავშირებულია ლენინის სახელთან, ბოლშევიკების პარტიასთან. ლენინი იყო აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის შექმნის, საბჭოთა ხელისუფლებას გამარჯვებისა და განმტკიცებისათვის მის მშრომელთა მასების ბრძოლის სულისჩამდგმელი. ლენინის უშუალო ხელმძღვანელობით ეყრებოდა საფუძველი რესპუბლიკის სოციალისტურ გარდაქმნებს. ლენინის იდეები დღესაც უნათებს აზერბაიჯანის მშრომელებს ახალი გამარჯვებების გზას, კომუნიზმის გზას.

ლენინის მიერ შექმნილ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დიდ კავშირში აზერბაიჯანმა სამართლიანად დაიკავა ღირსეული ადგილი.

თქვენი რესპუბლიკა უხვად დაუჯილდოებია ბუნებას, მას აქვს უდიდესი ბუნებრივი სიმდიდრენი. აზერბაიჯანი მრავალი ათწლეულის განმავლობაში მრეწველობის მხრივ ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მაღალგანვითარებული რაიონია, სადაც მრეწველობის ზოგიერთი დიდმნიშვნელოვანი დარგი წარმოიშვა ძალიან დიდი ხნის წინათ, ჯერ კიდევ რუსეთში კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად.

აზერბაიჯანის მუშათა კლასს აქვს სახელოვანი რევოლუციური ტრადიციები. შემთხვევითი როდია, რომ ჯერ კიდევ XIX საუკუნის დამლევს ბაქოში — ამიერკავკასიის ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან პროლეტარულ ცენტრში — შეიქმნა პირველი მარქსისტული წრეები. რუსეთის პროლეტარულ რევოლუციურ მოძრაობასთან მჭიდრო კავშირით შეიქმნა და განმტკიცდა ბაქოს პარტიული ორგანიზაცია — ამიერკავკასიაში მუშათა კლასის მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენი ლენინური პარტიის ბურჯი.

გმირობისა და თავდადების სახელოვანი ეპოპეა იყო ბაქოს კომუნის საქმიანობა. მას სათავეში ჩაუდგნენ სტეფანე შაუმიანი, მეშადი აზიზბეკოვი, ალიოშა ჯაფარიძე, ივანე ფიოლეტოვი, გრიგოლ ყორღანოვი, იაკობ ზევინი, მირ გასან ვეზიროვი და ლენინური გვარდიის სხვა მამაცი მებრძოლები. მათი სახელები თავისთავად მკაფიოდ გამოხატავენ ინტერნაციონალიზმის შესანიშნავ ტრადიციებს, რითაც ოდითვე სახელგანთქმული იყო ბაქოს პროლეტარიატი.

არასოდეს არ წაიშლება ხალხის მეხსიერებაში 26 ბაქოელი კომისრის გმირობა, რომლებიც მხეცურად დახოცეს ინგლისელმა იმპერიალისტებმა იმიერკასპიის ქვიშებში. მამაცი კომისრების გმირობა გაისმა როგორც მგზნებარე მოწოდება, მან რევოლუციის დროშის ქვეშ კომუნიზმისათვის ათასობით მამაცი მებრძოლი დარაზმა.

1920 წლის თებერვალში შექმნილი აზერბაიჯანის კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა) თავიდანვე გახდა ლენინური კომუნისტური პარტიის შემადგენელი ნაწილი, მისი მებრძოლი რაზმი.

ლენინი ყოველდღიურ დახმარებას და მხარდაჭერას უწევდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის მებრძოლთ აზერბაიჯანში, დღენიადაგ ზრუნავდა კომუნისტების რევოლუციური აღზრდისათვის, მათი ორგანიზაციული და იდეური ზრდისათვის. ასრულებდა რა ლენინის ანდერძს, აზერბაიჯანის კომუნისტურმა პარტიამ წარსული ნახევარი საუკუნის მანძილზე სახელოვანი გზა განვლო. საბჭოთა ხელისუფლების მტრების წინააღმდეგ ბრძოლებში, სოციალისტურ საფუძველზე ქვეყნის გარდაქმნისათვის შრომაში, წარსული ომის დროს სამშობლოს დაცვისათვის ბრძოლაში იბრძმედებოდა და მტკიცდებოდა აზერბაიჯანის კომუნისტური პარტია. თავიანთი ისტორიის მთელ მანძილზე აზერბაიჯანის კომუნისტები ლენინური ცენტრალური კომიტეტის ერთგული დასაყრდენი, რევოლუციის საქმისათვის, სოციალიზმის საქმისათვის აქტიური მებრძოლნი იყვნენ.

ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით მხურვალედ მივულოცო აზერბაიჯანელ კომუნისტებს აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის სახელოვანი იუბილე. ნება მიბოძეთ გისურვოთ ახალი წარმატებები კომუნისტურ მშენებლობაში ჩვენი დიადი სამშობლოს აყვავებისათვის!

აზერბაიჯანელმა ხალხმა დიდი გზა განვლო თავის განვითარებაში, მაგრამ მისი ნამდვილი ისტორია არსებითად მხოლოდ ხუთი ათეული წლის წინათ დაიწყო, როცა აზერბაიჯანის მუშებმა და გლეხებმა რუსეთის პროლეტარიატის, წითელი არმიის ნაწილების ძმური დახმარებით დაამხეს საძულველი ბურჟუაზიულ-მემამულური მუსავატისტური მთავრობა. აზერბაიჯანელ ხალხს გაეხსნა ეროვნული თავისუფლებისა და სოციალური სამართლიანობის გზა.

წერილში აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნის, მთიელთა რესპუბლიკის კომუნისტებისადმი 1921 წელს ლენინი წერდა: „მხურვალედ მივესალმები რა კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს, ნებას ვაძლევ თავს გამოვთქვა იმედი, რომ მათი მჭიდრო კავშირი შექმნის ბურჟუაზიის დროს არნახული და ბურჟუაზიულ წყობილებაში შეუძლებელი ეროვნული მშვიდობიანობის ნიმუშს".

(გაგრძელება მე-2 გვ.).

# ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

(გაგრძელება)

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამ მოუღო ბოლო ამიერკავკასიის ხალხთა ეროვნულ შუღლსა და განკერძოებულობას, რასაც აღვივებდნენ ექსპლოატატორული კლასები და რასაც არაერთხელ მოჰყვა ტრაგიკული შეტაკებანი. მხოლოდ იმის შედეგად, რომ აზერბაიჯანში გაიმარჯვა საბჭოთა ხელისუფლებამ, რომ იგი დაადგა სოციალისტური გარდაქმნების გზას, სრულად განვითარდა ხალხის მასების შემოქმედებითი შესაძლებლობანი, ფართო მასშტაბით გაიშალა თქვენი მიწის წიაღის სიმდიდრეთა გამოყენება, ჩაყენებულ იქნა ისინი ხალხის სამსახურში.

გახდნენ რა თავიანთი ბედის ბატონ-პატრონი, აზერბაიჯანის მშრომელებმა კომპარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის ყველა მოძმე რესპუბლიკის აქტიური მონაწილეობით სწრაფად აღადგინეს დანგრეული მეურნეობა, ააშენეს მძლავრი სოციალისტური ინდუსტრია, განახორციელეს ლენინური კოოპერაციული გეგმა სოფლის მეურნეობაში, წარსულის საუკეთესო კულტურული ღირებულებანი მთელი ხალხის კუთვნილება გახადეს, შექმნეს ახალი, სოციალისტური კულტურა.

აზერბაიჯანი, სადაც რევოლუციამდე მოსახლეობის დიდი უმრავლესობა უწიგნური იყო, მთლიანი წიგნიერების, განათლებისა და კულტურის განვითარების მაღალი დონის რესპუბლიკა გახდა.

სოციალისტური წყობილების დიადი ძალა ახალი დამაჯერებლობით გამოვლინდა მძიმე განსაცდელის წლებში — დიდი სამამულო ომის წლებში. მოსკოვისა და ლენინგრადის მისადგომებზე, ვოლგის ნაპირებზე და კავკასიონის მთისწინეთში ფაშისტი დამპყრობლების წინაალმდეგ სასტიკ ბრძოლებში წყდებოდა საბჭოთა ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხი. [illegible] აზერბაიჯანის შვილებმა ზურგში მუშაობითაც. ზღვაში, ხმელეთზე და ჰაერში მტრის ძალებთან შედარებით საბჭოთა არმიის უპირატესობის შექმნაში, საბჭოთა ჯავშანსატანკო ჯარებისა და საავიაციო შენაერთების შესანიშნავ სტრატეგიულ ოპერაციებში ცოტა წვლილი როდი შეიტანეს ბაქოელმა მენავთობეებმა. უაღრესად ძნელ პირობებში ისინი შეუფერხებლად ამარაგებდნენ საწვავით არმიას და ქვეყნის სახალხო მეურნეობას, იძლეოდნენ იმ დროს მთელი საბჭოთა ნავთობის თითქმის სამ მეოთხედს.

და დღეს, დიდ სამამულო ომში გამარჯვებიდან მეოთხედი საუკუნის შემდეგ, ჩვენ თავს ვხრით და პატივს ვცემთ ხალხის სახელოვან შვილთა ნათელ ხსოვნას, რომლებმაც სიცოცხლე გასწირეს ფაშიზმთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში, მადლიერებით ვიხსენებთ საბჭოთა ადამიანების თავდადებულ შრომას ზურგში. სამუდამოდ დარჩება საუკუნეებში სიდიადე საბრძოლო და შრომითი გმირობისა, რომელიც საბჭოთა კავშირის ხალხებმა ჩაიდინეს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის!

ამხანაგ ალიევის მოხსენებაში დამაჯერებლად არის ნაჩვენები უდიდესი ცვლილებები, რაც აზერბაიჯანის ცხოვრებაში მოხდა საბჭოთა ხელისუფლების ხუთი ათეული წლის განმავლობაში. ჩვენ ყველამ ვიცით, თუ რა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ლენინი სოციალიზმის მშენებლობას ამიერკავკასიაში, მიაჩნდა რა, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკების სანიმუშოდ მოწყობილი სოციალისტური ცხოვრება იქნება საუკეთესო აგიტაცია, საუკეთესო პროპაგანდა ჩვენი საქმისათვის მთელ მრავალმილიონიან აღმოსავლეთში.

დღეს, როცა საბჭოთა აზერბაიჯანის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს აღვნიშნავთ, შეგვიძლია სიამაყით განვაცხადოთ, რომ რესპუბლიკის მშრომელები ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის ძმური დახმარებით პირნათლად ასრულებენ ლენინის ანდერძს. საბჭოთა აზერბაიჯანი, რომელიც რუსეთის იმპერიის ყოფილი კოლონიური განაპირა მხარიდან გადაიქცა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ აყვავებულ რესპუბლიკად, რომელიც აშენებს კომუნიზმს, დამაჯერებლად მოწმობს სოციალიზმის მძლავრ შემოქმედებითს ძალას, შთამაგონებელ მაგალითს უჩვენებს ახალგაზრდა ეროვნულ სახელმწიფოებს. სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხებს.

ახლანდელი აზერბაიჯანი — ეს არის დიდი, მრავალდარგოვანი ინდუსტრიის მაღალგანვითარებული სოფლის მეურნეობის, თვითმყოფი სოციალისტური კულტურის რესპუბლიკა.

სულ რამდენიმე ათეული წლის წინათ აზერბაიჯანი ცნობილი იყო მხოლოდ ნავთობის მხარედ. რა თქმა უნდა, ყველას ახლაც გვახარებს აზერბაიჯანელ მენავთობეთა წარმატებანი და ვაფასებთ მათს შრომას, რომელიც ესოდენ საჭიროა მთელი ქვეყნისათვის. მაგრამ აზერბაიჯანის ეკონომიკას დღეს ახასიათებს მრეწველობის ისეთი მნიშვნელოვანი დარგებიც, როგორიც არის შავი და ფერადი მეტალურგია, ნავთობის მანქანათმშენებლობა და ხელსაწყოთმშენებლობა ელექტროტექნიკური, ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა.

ქვეყნის სახალხო მეურნეობაში შესამჩნევ როლს ასრულებს აზერბაიჯანში წარმოებული ფოლადი და ნაგლინი, მილები და ფერადი ლითონები, სინთეზური კაუჩუკი და მინერალური სასუქები, სალტეები, ელექტროძრავები, ტუმბოები. აზერბაიჯანის ინდუსტრიის პროდუქციას შეხვდებით იმიერკარპატებში და სახალინზე, ყინულოვანი ოკეანის ნაპირებზე და თურქმენეთის ცხელ უდაბნოებში.

ეს პროდუქცია ცნობილია საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთაც. აქედან, კასპიის ზღვის ნაპირებიდან, 300 სახეობის სამრეწველო ნაწარმი იგზავნება მსოფლიოს თითქმის 60 ქვეყანაში. ყოველივე ეს დამაჯერებლად მოწმობს მაღალ ინდუსტრიულ დონეს, რომელსაც აზერბაიჯანმა საბჭოთა ხელისუფლების წლებში მიაღწია.

ბევრი წარმატება მოიპოვა რესპუბლიკის სოციალისტურმა სოფლის მეურნეობამაც, სარწყავი მიწების ფართობი რევოლუციამდელ პერიოდთან შედარებით ერთიორად გაიზარდა. კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს სახელმწიფომ მისცა ათეულ ათასობით ტრაქტორი, კომბაინი, ბამბის ასაღები მანქანა, სატვირთო ავტომობილი. უნარიანად იყენებენ რა თანამედროვე ტექნიკას, რესპუბლიკის მოწინავე კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები აღწევენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვ მოსავლიანობას, მეცხოველეობის კარგ პროდუქტიულობას.

უმაგალითოდ შეიცვალა აზერბაიჯანელი ხალხის ყოფა-ცხოვრების პირობები. ალექსი მაქსიმის-ძე გორკი, რომელიც კარგად იცნობდა ბაქოს რევოლუციამდელ ცხოვრებას, ასე აღწერდა ამ ქალაქს: „კოშკების ქაოსში მიწას გართხმოდნენ წითურა და რუხი გაუთლელი ქვისაგან ნაშენი მუშათა გრძელი, დაბალი ყაზარმები, რომლებიც ძალიან ჰგვანან ისტორიამდელი ადამიანების საცხოვრებლებს. არასოდეს არ მინახავს ამდენი ჭუჭყი და ნაგავი ადამიანის საცხოვრებლის ირგვლივ, ამდენი ჩამსხვრეული მინა ფანჯრებში და ასეთი საშინელი სილატაკე გამოქვაბულის მსგავს ოთახებში“.

ასეთი იყო ბაქო მეფის რუსეთის პირობებში. მაგრამ ასეთი ბაქო მხოლოდ ღრმად მოხუცებულებს ახსოვთ.

ვითარება ისეთი შეიქმნა, რომ პირველად მომიხდა აზერბაიჯანში ჩამოსვლა; პირველად ვნახე მისი დედაქალაქიც. მაგრამ, ალბათ მით უფრო მკაფიო შთაბეჭდილება დამრჩა ნანახისაგან. პირდაპირ უნდა გითხრათ: ბაქო ლამაზი ქალაქია! ჩანს, რომ იგი უშენებიათ და აშენებენ ადამიანები, რომლებსაც მხურვალედ უყვართ მშობლიური მხარე, მზრუნველად ეკიდებიან ეროვნულ ტრადიციებს და ამავე დროს უნარიანად იყენებენ თანამედროვე ქალაქთმშენებლობის მიღწევებს. სასიამოვნოა ცხოვრობდე და შრომობდე ასეთ ქალაქში.

აქ, ბაქოში, ვნახე საინტერესო ქანდაკება — აზერბაიჯანელი ქალის განთავისუფლების სიმბოლო, ქალისა, რომელიც განრისხებით იშორებს ჩადრს.

კარგად იცით, რას ნიშნავდა ქალებისათვის ავადსახსენებელი ჩადრი, ჩადრი, რომელიც სიმბოლურად გამოხატავდა მის უუფლებობასა და მონურ მდგომარეობას. არსებითად იგი თითქმის არაფრით არ განსხვავდებოდა საპყრობილის გისოსისგან, განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ქალი თვითონ ატარებდა მას.

ქალთა განთავისუფლება იყო საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა — საბჭოთა ხელისუფლებამ ქალი გადააქცია სოციალისტური საზოგადოების სრულუფლებიან წევრად. ქალებმა შესამჩნევად დაათმობინეს ადგილი მამაკაცებს, ჯანმრთელობის დაცვასა და სახალხო განათლებაში. ბევრი მათგანი ინჟინერი, აგრონომი, მეცნიერი მუშაკია. დღეს აზერბაიჯანის ქალები შეადგენენ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ყველა დასაქმებულთა 40 პროცენტს. ბევრი მშრომელი ქალი არჩეულია რესპუბლიკისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოების შემადგენლობაში.

მაგალითისათვის, გადახედეთ რამდენი ქალია ამ დარბაზში. და ეს სავსებით კანონზომიერია — აზერბაიჯანელ ქალებს ხომ ახლა ბევრი მთავარი პოზიცია უჭირავთ თავიანთი რესპუბლიკის ეკონომიკასა და კულტურაში, მუშაობენ პასუხსაგებ სამეურნეო, სახელმწიფო და პარტიულ პოსტებზე, და კარგადაც მუშაობენ! რამდენი ოქროს ვარსკვლავი, ორდენი და მედალი მოიტანეს ამ დარბაზში ჩვენი საიუბილეო საზეიმო სხდომის მონაწილე ქალებმა. სამშობლოს ეს ჯილდოები საუკეთესო სამკაულია, რომელიც ოდესმე უტარებიათ ქალებს დედამიწაზე!

სკკპ ცენტრალური კომიტეტი დარწმუნებულია, რომ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია კვლავაც შეუნელებელი ყურადღებით მოეკიდება უმნიშვნელოვანეს საქმეს — მშრომელ ქალთა ყოფაცხოვრებისათვის, სულიერი ზრდისათვის, სოციალისტურ წარმოებაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სახელმწიფო საქმეების მართვაში მათი აქტიური ჩაბმისათვის ზრუნვას.

ამხანაგებო, დღეს, საზეიმო დღესასწაულზე, აღვნიშნავ რა რესპუბლიკის სწრაფ ეკონომიურ განვითარებას, მინდა გულითადი მადლობა გადავუხადო ყველას, ვისაც თავისი შრომით გარდაუქმნია ეს მხარე, აზერბაიჯანელ მშრომელებს, ვისი მარჯვენითაც იქმნება მთელი მატერიალური ღირებულებანი.

როგორც ყოველთვის, ავანგარდშია სახელოვანი მუშათა კლასი. აზერბაიჯანის სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ მუშათა მრავალრიცხოვანი რაზმი უზარმაზარი ძალაა. განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია, რომ საბჭოთა მუშები ჩვენს დროში, როგორც წესი, არიან ადამიანები, რომლებსაც აქვთ კარგი ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული მომზადება, რომლებიც დაეუფლნენ თანამედროვე ტექნიკას, მაღალი შეგნებითა და პასუხისმგებლობით ასრულებენ თავიანთ პატრიოტულ მოვალეობას.

აზერბაიჯანის მუშათა კლასი ღირსეულად განაგრძობს ბაქოს პროლეტარიატის სახელოვან რევოლუციურ და შრომითს ტრადიციებს.

მთელი მუშათა კლასის, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული, ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციის ღირსების საქმეა განავითარონ და გაამრავლონ ეს ტრადიციები, სათუთად გადასცენ ისინი მოზარდ თაობას. ვფიქრობ, რომ უფრო მეტად უნდა ვიზრუნოთ ღირსეული მუშათა ცვლის მომზადებისათვის, ახალგაზრდობას ჩავუნერგოთ შრომის სიყვარული, პასუხისმგებლობა თავიანთი მამებისა და უფროსი ძმების საქმის განგრძობისათვის.

ამხანაგებო! ისე მოხდა, რომ თქვენი იუბილეს დღესასწაული ემთხვევა მეორე ღირსშესანიშნავ თარიღს, რომელსაც დღეს აღნიშნავს ჩვენი ლენინური კომკავშირი, მთელი საბჭოთა ახალგაზრდობა, ჩვენი პარტია და მთელი საბჭოთა ხალხი.

ზუსტად 50 წელი შესრულდა იმ დღიდან, რაც ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის სრულიად რუსეთის III ყრილობაზე წარმოთქვა თავისი ცნობილი სიტყვა „ახალგაზრდობის კავშირთა ამოცანები“.

საბჭოთა აზერბაიჯანი ორმოცდაათი წლისაა. ორმოცდაათი წლისაა ლენინის ისტორიული მიმართვა საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდებისადმი. ეს არა მარტო თარიღების კალენდარული დამთხვევაა, არამედ ამ ორ მოვლენას შორის ღრმა ისტორიული კავშირიც არის.

აზერბაიჯანის კომკავშირის ვეტერანებს ალბათ ახსოვთ, რომ ორი კვირით ადრე რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის III ყრილობის გახსნამდე აქ, ბაქოში, შეიკრიბა აღმოსავლეთის წითელი ახალგაზრდობის პირველი ყრილობა, რომელიც ეძებდა ახალგაზრდული მოძრაობის გზებს ახალი ცხოვრების ჩასახვის მძიმე პირობებში. აღმოსავლეთის ახალგაზრდობის წარმომადგენლები შემდეგ ჩამოვიდნენ მოსკოვში, კომკავშირის ყრილობაზე. მათ წილად ხვდათ ბედნიერება მოესმინათ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ცნობილი სიტყვა, თითქოს მისგან უშუალოდ მიეღოთ თავიანთი მუშაობისა და ბრძოლის ზუსტი პროგრამა.

ლენინის ეს სიტყვა ჭეშმარიტად შესანიშნავი დოკუმენტია. მისი უდიდესი მნიშვნელობა სულ უფრო ნათელი ხდება დროთა მსვლელობაში.

იმ მომენტში, როცა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი წარმოთქვამდა ამ სიტყვას, კონტრრევოლუციასთან და უცხოელ ინტერვენტებთან ჯერ კიდევ დაუმთავრებელი შეიარაღებული ბრძოლის პერიოდში, ქვეყნის დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში, ზოგიერთს, როგორც ამას თანამედროვენი ამბობენ, მოულოდნელად ეჩვენებოდა, ბოლომდე არ ესმოდათ ღრმა აზრი ილიჩის მოწოდებისა საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდა თაობისადმი: „ამოცანა ის არის, რომ ვისწავლოთ“.

მაგრამ თვითეული წელი, თვითეული შემდგომი ათწლეული სულ უფრო მეტი სიცხადითა და დამაჯერებლობით გვიჩვენებდა თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ლენინის ეს მითითება, მისი მოწოდება — ჩვენი ახალგაზრდობიდან გაგვეზარდა კომუნიზმის მშენებლები.

იმათ, ვინც მაშინ, 1920 წელს, ისმენდა ლენინის სიტყვას, საბჭოთა ქვეყნის რევოლუციური მოძრაობის ავანგარდს, მოუწია პრაქტიკულად გამხდარიყო სოციალიზმის მშენებლობის წამომწყები, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის აქტიური მონაწილე. ხოლო როცა დიდი სამამულო ომი დაიწყო, ლენინის ეს აღზრდილნი თავდადებით იცავდნენ ოქტომბრის მონაპოვრებს, ფაშისტი აგრესორისაგან დაიცვეს მათ მიერ აშენებული სოციალიზმი. ისინი ბოლომდე ერთგული იყვნენ დიდი ბელადის ანდერძისა და ეს მთელი თავიანთი საქმეებით, მთელი თავიანთი ცხოვრებით დაამტკიცეს.

ახლაც, როცა საბჭოთა ხალხი აკეთებს საქმეს, რომელზეც ლენინი ოცნებობდა და რომლისათვის მზადებისაკენ იგი მოგვიწოდებდა, — კომუნისტური მშენებლობის საქმეს, ბრძნული ლენინური სიტყვები ჩვენთვის გაისმის როგორც ყველაზე აქტუალური, კონკრეტული მითითება, როგორც პარტიის განაწესი კომუნიზმის მშენებელთა ახალგაზრდა თაობისადმი.

მართლაც, გაიხსენეთ, როგორ განსაზღვრა ვლადიმერ ილიას-ძემ საბჭოთა ახალგაზრდობის ამოცანები **სწავლის დარგში:**

„...უნარი კაცობრიული ცოდნის მთელი ჯამის შეთვისებისა, ისე შეთვისებისა, რომ კომუნიზმი რაღაც დაზეპირებული რამ კი არ გამოგივიდეთ, არამედ ისეთი რამ იყოს, რაც თვითონ თქვენს მიერაა გააზრებული, ის დასკვნები იყოს, რომლებიც აუცილებელია თანამედროვე განათლების თვალსაზრისით“ (თხზ., ტ. 31, გვ. 346).

განა დღესაც ეს არ არის ახალგაზრდობის განათლების პოლიტიკური აზრის უზუსტესი განსაზღვრა ჩვენს სოციალისტურ საზოგადოებაში, ყველაზე ზუსტი გამოხატვა კლასობრივი, პარტიული მიდგომისა განათლებისა და კულტურის საკითხებისადმი? რა თქმა უნდა, ეს ასეა. ახალგაზრდობისა და მთელი ხალხის განათლებისა და პოლიტიკური მომზადების საქმის დაყენებაში პარტია ხელმძღვანელობს და კვლავაც იხელმძღვანელებს ამ ლენინური დებულებით, რადგან მხოლოდ ასეთი გზით შეიძლება ნამდვილი, მტკიცე კომუნისტების აღზრდა, რომლებსაც შეუძლიათ მთელი სიგრძე-სიგანით გაშალონ და ბოლომდე მიიყვანონ კომუნისტური საზოგადოების აშენების დიადი საქმე.

გაიხსენეთ, როგორ განსაზღვრა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა უკვე მაშინ, 1920 წელს, კომუნიზმისათვის ახალგაზრდა მებრძოლთა ამოცანები **სამეურნეო მშენებლობის დარგში.** აი რას ამბობდა იგი:

„თქვენს წინაშე დგას მთელი ჩვენი ქვეყნის სამეურნეო აღორძინების ამოცანა, რეორგანიზაცია, აღდგენა მიწათმოქმედებისაც და მრეწველობისაც თანამედროვე ტექნიკურ საფუძველზე, რომელიც თანამედროვე მეცნიერებას, ტექნიკას, ელექტრობას ეყრდნობა“ (თხზ., ტ. 31, გვ. 346).

სწორედ ლენინის მიერ ნაჩვენები ამ გზით მიდიოდა ჩვენი ქვეყანა, როცა სოციალიზმს აშენებდა. ახორციელებდნენ რა ლენინის წინასწარდასახულობებს სოციალიზმის მიერ აღზრდილმა ახალმა ადამიანებმა, რომლებიც ახალ ტექნიკას დაეუფლნენ, გამოიჩინეს შრომითი გმირობის სასწაულები. ამ პირობებში იშვა შესანიშნავი სტახანოვური მოძრაობა, რომლის ოცდათხუთმეტი წლისთავი ახლახან აღნიშნა ჩვენმა ქვეყანამ.

განა ჩემ მიერ მოყვანილი ლენინის სიტყვები ზუსტად და ღრმად არ ახასიათებენ ჩვენი ახალგაზრდობისა და მთელი საბჭოთა ხალხის ამოცანებს **დღესაც,** როცა ჩვენს წინაშე დგას ისტორიული ამოცანა — მთლიანად დავაყენოთ საბჭოთა ადამიანების მიერ აშენებული სოციალისტური საზოგადოების სამსახურში მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის უახლესი მიღწევები?

რა თქმა უნდა, ეს ასეა. და ჩვენი პარტია ხელმძღვანელობს და კვლავაც იხელმძღვანელებს ლენინის ამ დებულებით, რადგან ეს გვაძლევს კომუნიზმის მშენებლობის, ერთ-ერთი მთავარი ამოცანის გადაწყვეტის საშუალებას. ამ გზაზე წინსვლის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ეტაპი უნდა გახდეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1969 წლის დეკემბრისა და 1970 წლის ივლისის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელება.

ამხანაგებო მიმდინარე წელი — ლენინის საიუბილეო წელი და ამავე დროს ხუთწლედის დამამთავრებელი წელი და პარტიის XXIV ყრილობის წინადღეა. იგი გამოირჩევა საბჭოთა ადამიანების უაღრესად დიდი შრომითი აქტივობით, სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი აღმავლობით. საწარმოთა მუშები და მოსამსახურეები იბრძვიან იმისათვის, რომ კიდევ მეტი პროდუქცია გამოუშვან საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გადიდების ბაზაზე, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ თავიანთ სოციალისტურ ვალდებულებებში ისინი ითვალისწინებენ შრომის ნაყოფიერების ზრდის, ახალ სახეობათა პროდუქციის ათვისების, ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესების, ნედლეულისა და მასალების დაზოგვის კონკრეტულ ორგანიზაციულ და ტექნიკურ ღონისძიებებს.

აქტიურად მონაწილეობენ საყოველთაო სახალხო შეჯიბრებაში აზერბაიჯანელი მშრომელებიც. დიდ წარმატებებს მიაღწიეს კასპიის სკკპ XXII ყრილობის სახელობის ნავთობსარეწი სამმართველოს (ნავთობის ქვები), ახალბაქოს ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის, ბაქოს ელექტრომანქანათსამშენებლო ქარხნის, ნავთობის მანქანათმშენებლობის ვეტერანის — ლეიტენანტ შმიდტის სახელობის ქარხნის, რესპუბლიკის ფერადი მეტალურგიის პირმშოს — სუმგაითის ალუმინის ქარხნის კოლექტივებმა.

ხალხი დღეს სიამაყით ასახელებს რესპუბლიკის მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, მშრომელი ინტელიგენციის სახელოვან წარმომადგენლებს, რომელთა შრომა პატრიოტული ვალის მოხდის საუკეთესო მაგალითია. ვსარგებლობ რა შემთხვევით ამ ტრიბუნიდან ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით ყველას დიდ გულითად მადლობას ვუხდი თავდადებული შრომისათვის.

მიმდინარე წლის დამლევს ქვეყანა შეაჯამებს ხუთწლიანი გეგმის შესრულების შედეგებს. ჩვენი მუშაობის ზოგიერთ მაჩვენებლებზე როგორც მთლიანად ქვეყანაში, ისე აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში, შეგვიძლია ახლავე ვიმსჯელოთ.

დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენს ქვეყანაში მიღწეულია ახალი მაღალი მიჯნები კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, სოციალისტური ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში. ახლა უკვე ცხადია, რომ სკკპ XXIII ყრილობის დირექტივები ხუთწლიანი გეგმის შესახებ ძირითადად შესრულდება. ხუთწლეულში ქვეყნის მრეწველობა წარმოებას გაადიდებს დაახლოებით ერთნახევარჯერ, მნიშვნელოვნად გაიზრდება სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება.

ჩვენი მეცნიერებისა და ტექნიკის წარმატებათა განვითარების ახალი დადასტურება, საბჭოთა მეცნიერების, ინჟინრების, ტექნიკოსების და მუშების ნამდვილი ტრიუმფი იყო ამ დღეებში ბრწყინვალედ განხორციელებული ფრენა „ლუნა-16“ კოსმოსური სადგურისა, რომელმაც უნიკალური მუშაობა გასწია მთვარის გამოკვლევაში, აიღო მთვარის გრუნტის ნიმუშები და ჩამოიტანა დედამიწაზე. ყოველივე ეს შესრულდა საოცარი სიზუსტითა და ოსტატობით და მთელი მსოფლიოს აღტაცება გამოიწვია. „ლუნა-16“ კოსმოსური სადგურის წარმატება ლენინის საიუბილეო წელს კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი მიღწევაა, რომლითაც საბჭოთა ადამიანები ეგებებიან პარტიის მომავალ XXIV ყრილობას.

და აზერბაიჯანის მშრომელებმა, რომლებიც ახორციელებენ პარტიის XXIII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებს, გარკვეულ დადებით შედეგებს მიაღწიეს სახალხო მეურნეობის განვითარებაში.

მნიშვნელოვნად გაიზარდა მიმდინარე ხუთწლედში რესპუბლიკაში სამრეწველო წარმოება. ძვრები ხდება სოფლის მეურნეობაშიც. მიუხედავად ამინდის რთული პირობებისა, რესპუბლიკის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები წელს წარმატებით ასრულებენ მათს წინაშე დასახულ ამოცანებს.

მართალია, მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული, მაგრამ თქვენ თვითონ იცით, რომ თვითდამშვიდების საფუძველი არა გვაქვს. საიუბილეო ზეიმი კრიტიკისათვის ალბათ მთლად შესაფერისი საბაბი როდია. მაგრამ ცხოვრება თავისას მოითხოვს, ხოლო ბოლშევიკებს არასოდეს არ აურიდებიათ თვალი თავიანთ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებისათვის — ეს არის ჩვენი ლენინური პარტიის ძალის ერთ-ერთი წყარო. ამიტომ, ვფიქრობ, რომ არ დამძრახავთ გულახდილობისათვის.

კერძოდ, უნდა ითქვას, რომ რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა ყურადღება უნდა მიაპყრონ გარკვეულ ჩამორჩენას სამრეწველო წარმოების მატების ტემპებში, რასაც ამ ბოლო წლებში ვხვდებით. ეს ეხება როგორც ნავთობისა და გაზის მოპოვებას, ისე მინერალური სასუქების წარმოებას და მსუბუქი და კვების მრეწველობის მუშაობას. თქვენ, რა თქმა უნდა, ჩემზე ცუდად როდი იცით ყოველივე ეს, ამიტომ საჭირო არ არის დაწვრილებით ლაპარაკი.

სოფლის მეურნეობის დარგში აზერბაიჯანს, უეჭველია, აქვს ბამბის, მარცვლეული და საკვები კულტურების მოსავლიანობის გადიდების დიდი შესაძლებლობანი. აქ ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა მელიორაციისათვის, სარწყავი მიწათმოქმედების გაუმჯობესებისათვის გამოყოფილი სახსრების უფრო სწორად გამოყენება. უეჭველად ბევრი რამ უნდა გაკეთდეს რესპუბლიკაში მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისთვისაც.

ყველა ამ უბანზე, ამხანაგებო, თქვენ გაქვთ დიდი რეზერვები, და აზერბაიჯანის კომუნისტების, მუშების, კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა ღირსების საქმეა აამოქმედონ ეს რეზერვები.

გასული წლის დეკემბერში, მიმდინარე წლის მარტსა და აგვისტოში, როგორც ამაზე უკვე ილაპარაკა ამხანაგმა ალიევმა, გაიმართა აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმები. ამ პლენუმებზე საგულდაგულოდ გაუკეთდა ანალიზი ამ ნაკლოვანებათა მიზეზებს. სჯა-ბაასი მწვავე, პრინციპული, საქმიანი იყო. ვფიქრობ, რომ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციისათვის ეს განხილვა გახდა დასაწყისი დიდი და დაძაბული მუშაობისა, რომელიც საშუალებას მოგვცემს მოკლე დროში აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობაში უდიდეს როლს ასრულებს ყველა საბჭოთა ხალხის ტრადიციული ძმური დახმარება და ურთიერთდახმარება. პარტიის ცენტრალური კომიტეტი ყოველდღიურად დიდ ყურადღებას უთმობს ყველა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებას. როგორც ცნობილია, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განსაზღვრეს აზერბაიჯანის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების დიდი ღონისძიებანი. სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი თქვენს რესპუბლიკაში 1971-1975 წლებში მიმდინარე ხუთწლედთან შედარებით ერთნახევარჯერ და უფრო მეტად გაიზრდება და მიაღწევს 6 მილიარდ 700 მილიონ მანეთს. ამ წლების მანძილზე სავსებით უნდა ჩადგეს მწყობრში სუმგაითის გიგანტური ქიმიური კომბინატი, კიროვაბადის ფაიფურისა და ალუმინის ქარხნები, აშენდება ქიმიური, მანქანათმშენებლობის, კვებისა და მრეწველობის სხვა დარგების ახალი საწარმოებისა და ობიექტების ათობით კორპუსი, გაიზრდება ენერგეტიკული რესურსები.

კიდევ უფრო განვითარდება აზერბაიჯანის სოფლის მეურნეობა, განმტკიცდება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ამ მიზნებისათვის ასიგნებულია თითქმის ორჯერ მეტი სახსრები, ვიდრე ამ ხუთწლედში. ამ სახსრების დაახლოებით ნახევარი მოხმარდება მიწების მელიორაციის ღონისძიებებს, სარწყავი სისტემების რეკონსტრუქციასა და ახალი წყალსაცავების შექმნას, ძირეულად გაუმჯობესდება ბაქოსა და რესპუბლიკის სხვა რაიონების მომარაგება სასმელი წყლით.

თქვენი შრომა და უნარი, ძვირფასო ამხანაგებო, თქვენი ენთუზიაზმი და შრომის დისციპლინა გადამწყვეტი ფაქტორებია, რომლებიც უზრუნველყოფენ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომ აღმავლობას, მის აყვავებას. პარტიის ცენტრალური კომიტეტი დარწმუნებულია, რომ აზერბაიჯანის კომუნისტები, მრეწველობისა და მშენებლობის, სოფლის მეურნეობის მშრომელები სათანადოდ დააფასებენ პარტიის ზრუნვას, ეფექტიანად გამოიყენებენ სახელმწიფოს უხვ დახმარებას და წარმატებით გაართმევენ თავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმების გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ამოცანებს.

რესპუბლიკის წინაშე მდგომ დიდ ამოცანათა გადაწყვეტა მოითხოვს სახელმწიფო დისციპლინის დონისა და მინდობილი საქმისათვის კადრების პასუხისმგებლობის ამაღლებას, მაღალ პარტიულ პრინციპულობას კადრების შეფასებასა და შერჩევაში.

დარწმუნებული ვართ, რომ შემდგომი ერთობლივი მუშაობის პროცესში კომუნისტური მშენებლობის ყველა დარგში კიდევ უფრო ფართო და უფრო ღრმა გახდება ყველა საბჭოთა რესპუბლიკის ძმური თანამშრომლობა, გაძლიერდება მატერიალური და სულიერი კულტურის მიღწევათა ურთიერთგაზიარება, რასაც მოჰყვება სოციალისტური ერებისა და ეროვნებების შემდგომი დაახლოება. ეს პარტიას მიაჩნია იმის საწინდრად, რომ უმაგალითოდ გაიფურჩქნება შემოქმედებითი ძალები მთელი საბჭოთა ხალხისა, რომელიც გულდაჯერებით მიაბიჯებს კომუნისტური მომავლისაკენ.

ძვირფასო ამხანაგებო! ჩემ მიერ უკვე მოხსენიებულ წერილში აზერბაიჯანისა და კავკასიის სხვა რესპუბლიკების კომუნისტებისადმი ვ. ი. ლენინი გირჩევდათ „შექმნათ ახალი და საამისოდ გამოიყენოთ თქვენთვის ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარება...“. თუ ლენინის ამ რჩევას შევუფარდებთ ჩვენს სინამდვილეს, უნდა ითქვას,

(დასასრული 83-ე გვერდზე)

# ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

(დასასრული)

რომ ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკურმა საქმიანობამ მნიშვნელოვნად განამტკიცა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო პოზიციები. ჩვენი საგარეო პოლიტიკის ძალა და ქმედითობა მრავლდება იმით, რომ ამ პოლიტიკას ვახორციელებთ მოძმე სოციალისტურ სახელმწიფოებთან მჭიდრო თანამშრომლობით, მთელი მსოფლიოს რევოლუციურ, ანტიიმპერიალისტურ ძალებთან კავშირით. ამ პირობებში საბჭოთა ხალხი გულდაჯერებით განაგრძობს ახალი, კომუნისტური საზოგადოების შექმნის დიად საქმეს.

მაგრამ ჩვენ არც ერთი წუთით არ ვივიწყებთ იმპერიალიზმის აგრესიული ძალების აქტივობას. ჩვენ ვხედავთ, რომ იმპერიალისტთა მიზეზით მსოფლიოში ხშირად წარმოიშობა ხოლმე მწვავე საერთაშორისო კრიზისები, მშვიდობის საქმისათვის სახიფათო სიტუაციები. არ შეიძლება არ ვითვალისწინებდეთ, რომ იმპერიალისტები განაგრძობენ გამალებულ შეიარაღებას, ყველაზე გაწაფული საშუალებებით იბრძვიან სოციალისტური ქვეყნებისა და ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ. ყოველივე ეს ჩვენგან მოითხოვს სიფხიზლეს, დღენიადაგ ზრუნვას ქვეყნის საიმედო თავდაცვისათვის, დაუცხრომელ ბრძოლას აგრესიული იმპერიალისტური ხრიკების წინააღმდეგ.

იმას, თუ როგორია საერთაშორისო ვითარება, რა მდგომარეობაა ჩვენი საგარეო-პოლიტიკური ფრონტის ცალკეულ უბნებზე, უკვე არაერთგზის შევეხებივარ ამ ბოლო დროს. არ მინდა გავიმეორო, და ამიტომ შევეხები მხოლოდ ზოგიერთ ცალკეულ საკითხს, რომლებიც დაკავშირებულია საბჭოთა კავშირის ბრძოლასთან სოციალიზმის პოზიციების განმტკიცებისათვის, მტკიცე მშვიდობისათვის, საერთაშორისო ურთიერთობაში სახელმწიფოთა შორის, მათი საზოგადოებრივი წყობილების მიუხედავად, მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპის დამკვიდრებისათვის.

მტკიცე მშვიდობისათვის ბრძოლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია იმპერიალისტი აგრესორებისთვის წინააღმდეგობის გაწევა. საბჭოთა კავშირი ძმურად უჭერს მხარს ვიეტნამის გმირ ხალხს თავდადე- [illegible]

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა კვლავ ხელს უწყობს ისრაელ აგრესორებს, ფაქტიურად აქეზებს მოლაპარაკების ჩაფუშვის მათს პოლიტიკას და ისრაელში გზავნის შეტევითი იარაღის ახალ-ახალ პარტიებს მეზობლებზე ახალი თავდასხმებისათვის. როგორც ჩანს, ვაშინგტონში, მშვიდობაზე ლაპარაკობენ, საქმით კი გულმოდგინედ თესავენ განხეთქილებისა და მტრობის თესლს.

სამწუხაროდ, ამას წინათ იორდანიაში მთავრობის ჯარების და პალესტინის ორგანიზაციათა შეიარაღებული რაზმების სისხლისმღვრელმა შეტაკებებმა აგრეთვე დიდი ზიანი მიაყენა არაბი ხალხების, მათ შორის პალესტინელი არაბების საერთო საქმეს. ჭეშმარიტად, ტრაგიკულია ეს ძმათამკვლელი ბრძოლა. ამას რომ ხედავდნენ, ისრაელი აგრესორები კმაყოფილებით იფშვნეტდნენ ხელებს, ოკეანესგაღმელმა იმპერიალისტებმა კი შემთხვევით ისარგებლეს, დარაზმეს ძალები და იმედოვნებენ ხელთ იგდონ ახალი შესაძლებლობა არაბთა საქმეებში სამხედრო ჩარევისათვის, რათა უფრო მოხერხებულად ჩაახშონ მათი განმათავისუფლებელი მოძრაობა და ძარცვონ მათი ეროვნული სიმდიდრე.

მაგრამ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა და ხალხთა ბედით ამგვარი ცინიკური თამაში ახლა საშიში გახდა. შეიძლება არა მარტო ხელი დაიწვა, არამედ სულაც დაკარგო იგი. ძნელი არ არის იმის წარმოდგენა, თუ რა მძაფრი რეაქცია, თუ რა დიდი სახალხო გულისწყრომა შეიძლება გამოიწვიოს იმპერიალისტური სახელმწიფოების ახალმა შეიარაღებულმა ჩარევამ ახლო აღმოსავლეთში.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, მისი პოზიცია სავსებით ნათელია. ჩვენ ვცდილობდით ყოველი ღონისძიებით შეგვეწყო ხელი იორდანიაში ძმათამკვლელი ომის საბოლოო შეწყვეტისათვის, მათ შორის პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის რაზმების განადგურების შეწყვეტისათვის. ჩვენ მიგვაჩნდა და მიგვაჩნია, რომ ყოვლად დაუშვებელია როგორიც უნდა იყოს უცხოეთის სამხედრო ჩარევა იორდანიის ამბებში.

ჩვენი ღრმა რწმენით, დღეს ახლო აღმოსავლეთში მთელი თავისუფლებისმოყვარე და მშვიდობისმოყვარე ძალების მთავარი ამოცანა ის არის, რომ პოლიტიკური საშუალებებით მიაღწიონ მშვიდობიან მოწესრიგებას, აღმოფხვრან ისრაელის აგრესიის შედეგები და მსოფლიოს ამ რაიონის ყველა ხალხს დაუბრუნონ მშვიდობა და სიმშვიდე მტკიცე, ხანგრძლივ საფუძველზე.

არაბი ხალხისა და მისი საქმისათვის, რისთვისაც იგი იბრძვის, მძიმე დანაკლისი იყო არაბთა განმათავისუფლებელი ბრძოლის გმირის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის, არაბთა სოციალისტური კავშირის თავმჯდომარის გამალ აბდელ ნასერის უდროო სიკვდილი. ჩვენგან წავიდა დიდი პატრიოტი, ჩაგვრისა და აგრესიის წინააღმდეგ, თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის მგზნებარე მებრძოლი, ბრძენი სახელმწიფო მოღვაწე, არაბული სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტიანი ხელმძღვანელი. ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, ვგლოვობთ თანამებრძოლის, ერთობლივ ანტიიმპერიალისტურ ბრძოლაში ამხანაგის, საბჭოთა ქვეყნისა და მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ერთგული მეგობრის გარდაცვალების გამო.

გამალ აბდელ ნასერი ერთი იმათგანი იყო, რომლებმაც მტკიცე საფუძველი ჩაუყარეს საბჭოთა კავშირსა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას შორის, ყველა არაბული ქვეყნის ხალხთა შორის დიად მეგობრობას. ჩვენ მტკიცედ ვიცით: ამ საძირკველზე აშენებული ჩვენი მეგობრობის დიდებული შენობა გაიზრდება და განმტკიცდება, რადგან ეს მეგობრობა გამოხატავს ისტორიული განვითარების ღრმა მოთხოვნილებას, და იგი საუკუნეების მანძილზე იქნება აყვავებული!

ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა ამ ტრიბუნიდან გულთბილად და ამხანაგურად მივესალმო ჩვენს კეთილ მეგობრებს, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხელმძღვანელებს, გამალ აბდელ ნასერის თანამებრძოლებს, რომლებიც, დარწმუნებული ვართ, ღირსეულად გააგრძელებენ განსვენებული პრეზიდენტის საქმეს, რაც ესოდენ დიდმნიშვნელოვანია არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისათვის, მთელი არაბი ხალხისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და თავისუფლების ძალებისათვის.

ჩვენმა არაბმა მეგობრებმა უნდა იცოდნენ, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და მთავრობა, მთელი საბჭოთა ხალხი კვლავაც განუხრელად შეასრულებენ არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასთან გულწრფელი მეგობრობისა და ძმური თანამშრომლობის კურსს. კვლავაც ყოველნაირ მხარდაჭერას გავუწევთ არაბთა სამართლიან ბრძოლას აგრესორთა მიერ დაპყრობილი მიწების განთავისუფლებისათვის, ახლო აღმოსავლეთში მტკიცე მშვიდობის დამყარებისათვის.

ამხანაგებო!

ჩვენი ქვეყნის მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის სერიოზული წარმატება ამ ბოლო ხანს იყო ის, რომ ამა წლის აგვისტოში საბჭოთა კავშირმა და გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ დადეს ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების შინაარსი და მნიშვნელობა, ვფიქრობ, თქვენ კარგად იცით.

უნდა ითქვას, რომ ჩვენი აზრით, სრულიად დაუსაბუთებელია მსჯელობა, რომელიც ზოგან გაისმის იმის თაობაზე, თუ რომელმა მხარემ „მოიგო უფრო მეტად" ხელშეკრულებისაგან, და რომელმა მხარემ „ნაკლებად". ყველამ ერთნაირად მოიგო: სოციალისტურმა ქვეყნებმაც, გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამაც, ყველამ, ვინც დაინტერესებულია ევროპაში მშვიდობის განმტკიცებით, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებით.

ამ დოკუმენტის საერთაშორისო როლი ნამდვილად გამოვლინდება, რა თქმა უნდა, მას შემდეგ, რაც იგი რატიფიცირებული იქნება და ძალაში შევა. მაგრამ ასეთი ხელშეკრულების დადება უკვე ახლა უეჭველია გარკვეულ დადებით ზეგავლენას ახდენს ევროპის ვითარებაზე. მხედველობაში მაქვს ევროპაში საერთაშორისო დაძაბულობის შენელების, მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების უფრო მტკიცედ დამკვიდრების, საერთაშორისო თანამშრომლობის უფრო აქტიური განვითარების ტენდენციის განმტკიცება. ჩვენი აზრით ევროპის მთელ მშვიდობისმოყვარე ძალებს თავიანთ მოვალეობად უნდა მიაჩნდეთ გამოიყენონ ეს ხელშემწყობი ვითარება, რათა გადადგან ახალი კონკრეტული ნაბიჯები ევროპის უშიშროების განმტკიცების საქმეში, ევროპის სახელმწიფოთა შორის ურთიერთხელსაყრელი მშვიდობიანი თანამშრომლობის შემდგომ განვითარებაში, ამაში შედის ისეთი ნაბიჯიც, როგორიც არის ამ საკითხებისადმი მიძღვნილი სრულიად ევროპის თათბირის მოწვევა უახლოეს მომავალში.

ჩვენს პოლიტიკაში, რომელიც ევროპაში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას ითვალისწინებს, თვალსაჩინო ადგილს ვუთმობთ საფრანგეთთან თანამშრომლობას. ეს თანამშრომლობა ეყრდნობა ჩვენი ქვეყნების ხალხთა მეგობრობის მტკიცე ტრადიციებს და, როგორც ჩვენ მიგვაჩნია, დიდი პერსპექტივები აქვს.

უკანასკნელ წლებში საბჭოთა კავშირმა და საფრანგეთმა მიაღწიეს გარკვეულ ურთიერთგაგებას, მოგვარდა პოლიტიკური კონტაქტები სხვადასხვა დონეზე, კარგი საფუძველი ჩაეყარა ურთიერთხელსაყრელი ეკონომიური თანამშრომლობის სოლიდურ განვითარებას. ჩვენ ვაპირებთ ყოველი ღონე ვიხმაროთ, რომ კიდევ უფრო განვავითაროთ და გავაღრმავოთ საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთობა მტკიცე საიმედო საფუძველზე.

იმედი გვაქვს, რომ საფრანგეთის პრეზიდენტის ბატონ ჟორჟ პომპიდუს ვიზიტი ჩვენს ქვეყანაში, რაც ამ დღეებში დაიწყება, აღნიშნავს ახალ არსებით ეტაპს საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის მეგობრობის, თანხმობისა და თანამშრომლობის განმტკიცებაში, ჩვენი ქვეყნების ინტერესებისათვის, ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმის ინტერესებისათვის.

მშვიდობიანი თანაარსებობის იმ პოლიტიკის ახალ წარმატებად, რომელსაც განუხრელად ვახორციელებთ, უნდა მივიჩნიოთ ისეთი დიდმნიშვნელოვანი აქტი, როგორიც არის საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების მოქმედების ოცი წლით გაგრძელება. ამ მეგობარ ქვეყანასთან კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარებას ახლა ახალი ნათელი პერსპექტივები აქვს. ამას ჩვენ სერიოზულ მნიშვნელობას ვანიჭებთ ევროპის ჩრდილოეთში მშვიდობისა და უშიშროების შემდგომი განმტკიცების თვალსაზრისით.

ამხანაგებო! აქ, ბაქოში, გამოსვლისას ბუნებრივია შევეხოთ იმას, თუ როგორ ვითარდება ჩვენი ურთიერთობა ისეთ მეზობელ სახელმწიფოებთან, როგორიც არიან თქვენი რესპუბლიკის მოსაზღვრე ირანი და თურქეთი.

პირდაპირ უნდა ვთქვა, რომ ეს ურთიერთობა, ჩვენი აზრით, ცუდად როდი ვითარდება. წინათ, როგორც იცით, ამ ურთიერთობაში იყო რთული მომენტები, ბევრი სიძნელე. მაგრამ, თანმიმდევრულად ვახორციელებთ რა ვ. ი. ლენინის ანდერძს, რომელიც უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა საბჭოთა ქვეყნის მეგობრული ურთიერთობის დამყარებას აღმოსავლეთის ხალხებთან, განსაკუთრებით მეზობელ ქვეყნებთან, დავძლიეთ დაბრკოლებანი და ჩვენი პარტნიორების კონსტრუქციული თანამშრომლობით საბჭოთა კავშირის ურთიერთობა ირანთან და თურქეთთან გამოვიყვანეთ კეთილმეზობლობისა და თანასწორუფლებიანი ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის სწორ გზაზე.

ამ ბოლო დროს თვალსაჩინო სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეების, საპარლამენტო დელეგაციებისა და სხვა ავტორიტეტიანი წარმომადგენლების საკმაოდ რეგულარული ურთიერთვიზიტები ხელს უწყობენ ჩვენი ქვეყნების ურთიერთგაგების განმტკიცებას, ჩვენი ქვეყნების ურთიერთობაში ნდობის ატმოსფეროს თანდათან შექმნას. ყველაფერი ეს შესაძლებლობას გვაძლევს გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ასეთი კონტაქტები კვლავაც განვითარდება.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს სავაჭრო და ეკონომიური ურთიერთობის განვითარებას, რაც არა მარტო ხელსაყრელია ორი მხარისათვის, არამედ სხვა დარგებში დაახლოებისა და თანამშრომლობის კარგი ბაზაც არის. ამ თვალსაზრისით ირანთან და თურქეთთან ჩვენს ურთიერთობაში ბევრი რამ გაკეთდა და კიდევ ბევრი რამ უნდა გაკეთდეს.

საბჭოთა კავშირის ტექნიკური ხელშეწყობით ირანში ამ ბოლო დროს შენდება მეტალურგიული, მანქანათსაშენებლო და თევზის მოსამრავლებელი ქარხნები, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ ჩვენი მეზობელი ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განმტკიცების საქმეში. ირანი კი მალე მოგვაწვდის ბუნებრივ გაზს საბჭოთა ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის საჭიროებისათვის. მალე ჩადგება მწყობრში ჰიდროტექნიკური კომპლექსი სასაზღვრო მდინარე არაქსზე, რომელიც ჩვენმა და ირანელმა სპეციალისტებმა ერთად ააშენეს. ეს შესაძლებელს გახდის მიწის მნიშვნელოვანი ფართობების მორწყვას როგორც ირანში, ისე თქვენთან აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში, ორივე ქვეყნის სასაზღვრო რაიონების ქალაქებისა და სოფლებისათვის დამატებითი ელექტროენერგიის მიცემას.

საბჭოთა კავშირ-თურქეთის ურთიერთობის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს მხარეთა ურთიერთმეცადინეობამ თურქეთში მეტალურგიული, ნავთობგადასამუშავებელი და გოგირდმჟავის ქარხნების მშენებლობის საქმეში.

ჩვენ აგრეთვე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ჩვენს ირანელ და თურქ მეზობლებთან ვაჭრობის მოცულობის გაფართოებასა და კულტურული და სხვა ურთიერთობის განვითარებას. ეს ეხება სხვა მეზობელ ქვეყნებსაც, ისეთებს, მაგალითად, როგორიც არიან ავღანეთი, ინდოეთი, პაკისტანი, რომლებთანაც მიუხედავად სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილებისა, გვაერთებს კეთილმეზობლობა და ურთიერთპატივისცემა.

ვსარგებლობ რა ამ შემთხვევით, მინდა გარკვევით განვაცხადო: საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა კვლავაც ყველაფერს იღონებს იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყნის საზღვრები ყველა ჩვენს მეზობელთან, როგორც სამხრეთში, ისე ჩრდილოეთსა და აღმოსავლეთში, იყოს და დარჩეს მშვიდობის, მეგობრობისა და ნაყოფიერი თანამშრომლობის საზღვრებად.

დასასრულ, ამხანაგებო, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო საქმეების შესახებ. [illegible] 25 წელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, რომელიც შეიქმნა განმათავისუფლებელ ანტიფაშისტურ ბრძოლაში ხალხთა გამარჯვების შედეგად.

მიუხედავად ყველა თავისი ნაკლოვანებისა და სისუსტისა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ სასარგებლო წვლილი შეიტანა იმ მიზნებისა და პრინციპების განხორციელებაში, რომლებიც მის წესდებაშია გამოცხადებული. მან ხელი შეუწყო მთელი რიგი მწვავე საერთაშორისო კრიზისების დაძლევას, ასეთი შედეგი, მიგვაჩნია საბჭოთა კავშირის, სხვა სოციალისტური ქვეყნების, ჩვენი პლანეტის მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების საგარეო პოლიტიკის სერიოზულ წარმატებად.

იმპერიალისტური წრეები არ წყვეტენ ცდებს გადააქციონ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ერთა ლიგის მაგალითისამებრ, სადისკუსიო კლუბად, ლიტონი, არაფრის მთქმელი დეკლარაციების გამოცხადების ადგილად. ისინი ცდილობენ ორგანიზაცია ჩამოაშორონ საყოველთაო მშვიდობის უზრუნველყოფისა და განმტკიცების მისი ცენტრალური პოლიტიკური ამოცანის შესრულებას.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, ჩვენ გვინდა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია იყოს ეფექტიანი და ავტორიტეტიანი, რომელიც მთელ მეცადინეობას ახმარს მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებას. საბჭოთა კავშირი აქტიურად დაუჭერს მხარს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ასეთ საქმიანობას.

რა თქმა უნდა, ჩვენ კარგად გვესმის, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია არ არის რაღაც თვითკმარი ძალა, რაღაც მსოფლიო ზემთავრობა. მისი პოზიცია, მისი მოქმედება ასახავს მხოლოდ მსოფლიოს სახელმწიფოთა შორის ძალთა გარკვეულ თანაფარდობას, რაღაც გაბატონებულ ტენდენციას საერთაშორისო ცხოვრებაში. სწორედ ამიტომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებთ, რადგან, ჯერ ერთი, ვიცით, რომ სოციალისტური და სხვა თავისუფლებისმოყვარე და მშვიდობისმოყვარე ქვეყნების როლი და პოლიტიკური ხვედრითი წონა მსოფლიოში განუწყვეტლივ იზრდება და კვლავაც გაიზრდება. მეორე, მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ მშვიდობის პოლიტიკა, რომელსაც განუხრელად ახორციელებს საბჭოთა კავშირი ლენინის ანდერძის საფუძველზე, შეესაბამება საბოლოო ანგარიშით ყველა ხალხის, ყველა ქვეყნის — დიდი და პატარა ქვეყნების ინტერესებს.

ჩვენ ვიცავთ საერთაშორისო ასპარეზზე ხალხთა თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და უშიშროების საქმეს, მართალ საქმეს, სამართლიან საქმეს. საბჭოთა კავშირის საერთაშორისო პოზიციები ახლა უფრო მტკიცეა ვიდრე ოდესმე ყოფილა. მისი, როგორც პროგრესის, გონებისა და მშვიდობის მძლავრი ძალის, ავტორიტეტი საყოველთაოდ აღიარეს. დიდი ლენინის დროშით საბჭოების ქვეყანა გულდაჯერებით მიდის კომუნიზმის მშენებლობის ლენინური გზით, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის გზით.

ამხანაგებო! საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და მთელი საბჭოთა ხალხი დიდ მოვლენას — სკკპ XXIV ყრილობას ეგებებიან. ყრილობა განიხილავს და მიიღებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის დირექტივებს, გეგმისა, რომლის შესრულება დიდი ნაბიჯი იქნება კომუნიზმის გზაზე ჩვენი ქვეყნის წინსვლაში. პარტია განუხრელად ატარებს თავის გენერალურ ხაზს, თანმიმდევრულად ახორციელებს პოლიტიკურ კურსს, რომელიც ცენტრალურმა კომიტეტმა შეიმუშავა. XXIII ყრილობის შემდეგ განვლილი დრო იყო ჩვენი ქვეყნის ძლიერების შემდგომი განმტკიცების, პარტიის ხელმძღვანელი როლის ზრდის, პარტიისა და ხალხის კიდევ უფრო მჭიდრო ერთიანობის პერიოდი. მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ეკონომიური, სოციალური საკითხების გადაწყვეტის გამოცდილებით გამდიდრებული პარტია ყრილობას ეგებება დარწმუნებული, რომ სწორია მისი ხაზი და მას მტკიცედ უჭერს მხარს მთელი საბჭოთა ხალხი.

დიდი სიამოვნებით გაცნობებთ, ძვირფასო მეგობრებო, რომ ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით საბჭოთა აზერბაიჯანს მიენიჭა მაღალი ჯილდო: მიღებულია გადაწყვეტილება ოქტომბრის რევოლუციის ორდენით რესპუბლიკის დაჯილდოების შესახებ.

ნება მიბოძეთ წაგიკითხოთ ბრძანებულება.

**(ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი კითხულობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას. სცენაზე ადიან რესპუბლიკის ხელმძღვანელები და შრომის მოწინავენი. მქუხარე, ხანგრძლივი ტაშის გრიალში ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ოქტომბრის რევოლუციის ორდენი მიაბნია რესპუბლიკის დროშას).**

პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის სახელით გულითადად გილოცავთ, ძვირფასო ამხანაგებო, საპატიო ჯილდოს. ნება მიბოძეთ გამოვთქვა რწმენა, რომ აზერბაიჯანის კომუნისტები — ჩვენი ლენინური პარტიის მებრძოლი რაზმი — და რესპუბლიკის ყველა მშრომელნი კონკრეტული საქმეებით უპასუხებენ ამ ჯილდოს, ღირსეულად შეხვდებიან სკკპ მომავალ ყრილობას, ახალ წარმატებებს მოიპოვებენ ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში. დაე კვლავაც ჰყვაოდეს მზიური აზერბაიჯანი, დაე მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს ყველა ჩვენი ხალხის ძმური მეგობრობა და ურღვევი კავშირი!

**(ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა დამსწრეთ მოისმინეს დიდი ყურადღებით. მისი სიტყვის დროს არაერთხელ გაისმა ხანგრძლივი ტაში. ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის საბოლოო სიტყვებს საზეიმო სხდომის მონაწილენი შეხვდნენ ფეხზე ამდგარი, მქუხარე, ხანგრძლივი ოვაციით).**

# საბჭოთა ხალხის ძმურ ოჯახში, ლენინური გზით

(გაგრძელება)

**მზე ჩამოსული მოძმე მოკავშირე რესპუბლიკების, გმირი ქალაქების — მოსკოვისა და ლენინგრადის დელეგაციათა მეთაურები, მხედართმთავრები.**

**შეკრებილთ შესავალი სიტყვით მიმართა აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. გ. ა. ალიევმა.**

დიდი დღესასწაული, თქვა ამხ. გ. ა. ალიევმა, მოვიდა ჩვენს ძველ აზერბაიჯანის მიწა-წყალზე, რომელიც განაახლა ნახევარი საუკუნის წინათ ამოსულმა თავისუფლების მზის ცხოველმყოფელმა სხივებმა. ახალი, ბედნიერი და ნათელი ცხოვრება აზერბაიჯანელ ხალხს მოუტანეს დიდმა ოქტომბერმა, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის გენიით შექმნილმა კომუნისტთა პარტიამ. და ამ წელს, რომელიც ისტორიაში შევიდა როგორც ლენინის იუბილეს წელი, საბჭოთა ხალხების მთელ ძმურ ოჯახთან ერთად ზეიმით და სიხარულით აღვნიშნავთ აზერბაიჯანის სს რესპუბლიკისა და აზერბაიჯანის კომპარტიის ორმოცდაათი წლისთავს.

დღეს განსაკუთრებული მღელვარებისა და სიამაყის გრძნობით თვალს ვავლებთ ნახევარი საუკუნის მანძილზე განვლილ გზას, ვაჯამებთ რევოლუციური მონაპოვრების, მთელი იმ უდიდესი მიღწევების შედეგებს, რომლებიც 50 საბჭოთა წლის განმავლობაში მოვიპოვეთ.

თავისი დიდი ეროვნული დღესასწაულის დღეებში აზერბაიჯანელი ხალხი კვლავ და კვლავ ცხადყოფს უსაზღვრო ერთგულებას ლენინური კომუნისტური პარტიისადმი, მისი ცენტრალური კომიტეტისადმი. პარტიის ბრძნულ პოლიტიკას უნდა ვუმადლოდეთ ყველა ჩვენს გამარჯვებასა და მიღწევას. ლენინის პარტიისადმი მიჯაჭვულია ჩვენი გული, მისი დროშით აზერბაიჯანელ ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი კვლავაც მოიპოვოს ახალი უფრო დიდი წარმატებანი კომუნიზმის სადიდებლად.

ჩვენ მიერ განვლილი ორმოცდაათი წლიდან თვითეული წელი იყო შთაგონებული შრომის, ბრძოლებისა და გამარჯვებების წელი. ვხარობთ რა ჩვენი რესპუბლიკის ბედნიერი სოციალისტური სინამდვილით, დიდ პატივს ვცემთ გმირებს, რომლებიც არ იშურებდნენ არც ძალღონეს, არც სიცოცხლეს თავიანთი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. აზერბაიჯანის მშრომელნი არასოდეს არ დაივიწყებენ თავიანთ შვილებს, რომლებიც იბრძოდნენ რევოლუციურ ბარიკადებზე, სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის ფრონტებზე, სიცოცხლე შესწირეს ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლას.

ამხ. ალიევი სთხოვს დამსწრეთ ფეხზე ადგომით პატივი სცენ დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნას.

კომუნისტური პარტიის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებული აზერბაიჯანელი ხალხი, ამბობს შემდეგ გ. ა. ალიევი, განუხრელად ახორციელებს პარტიის წინასწარდასახულობებს, წმიდად ასრულებს დიდი ლენინის უკვდავ ანდერძს. ლენინით შთაგონებული აზერბაიჯანის მშრომელნი ლენინური კურსით მიჰყვებიან კომუნისტურ პარტიას.

ამ დიდ და სასიხარულო დღეს ჩვენ სულით და გულით ვუძღვნით მადლობას საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, მის მებრძოლ შტაბს — ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას ჩვენი რესპუბლიკისადმი, მისი ეკონომიკისა და კულტურის განვითარებისადმი მუდმივი და ყოველმხრივი დახმარებისათვის. ჩვენ მხურვალე და გულწრფელ მადლობას ვუძღვნით ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხს, გიძღვნით თქვენ, ძვირფასო სტუმრებო, ჩვენო ძმებო და დებო — საბჭოთა ხალხების ერთიანი მრავალეროვანი ოჯახის წევრებო.

განსაკუთრებულ ზეიმურობასა და მნიშვნელობას ანიჭებს ჩვენს დღესასწაულს ის, რომ მასში მონაწილეობს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს, საერთაშორისო მუშათა და კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი.

საბჭოთა ადამიანები, საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხები ამხანაგ ბრეჟნევს იცნობენ როგორც ერთგულ და შეუდრეკელ ლენინელს, ნაცად და შორსმჭვრეტელ პოლიტიკურ ხელმძღვანელს, კომუნიზმის საქმისათვის მტკიცე და ენერგიულ მებრძოლს. ხელმძღვანელობს რა ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ლეონიდ ილიას-ძე დაუცხრომლად ეწევა უდიდეს და ნაყოფიერ მოღვაწეობას საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების განსამტკიცებლად, მიჰქეფარე ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას, კომუნისტების, ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელის დასარაზმავად ლენინური გენერალური ხაზის წარმატებით განხორციელებისათვის.

ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ, აზერბაიჯანის მშრომელნი დიდ მადლობას გიძღვნიან, რომ, პარტიული და სახელმწიფოებრივი საქმეების გამო დიდი მოუცლელობის მიუხედავად შესაძლებლად დაინახეთ ჩამოსულიყავით ბაქოში, გაგვეზიარებინათ მისი სასიხარულო დღესასწაული.

ჩვენთვის ღირსშესანიშნავია ის, რომ დიდი სამამულო ომის მძიმე წლებში თქვენ, ლეონიდ ილიას-ძევ, იყავით რა მე-18 არმიის სამხედრო საბჭოს წევრი და პოლიტგანყოფილების უფროსი, მონაწილეობდით კავკასიის გმირულ დაცვაში, პირადი მაგალითით, მგზნებარე პარტიული სიტყვით უნერგავდით მებრძოლებს გამარჯვების რწმენას, ადუღაბებდით მათს ნებისყოფას. შთააგონებდით საგმირო საქმეებს, რომელთა მეოხებით 1942 წლის ზაფხულისა და შემოდგომის სისხლისმღვრელ ბრძოლებში გზა გადავუღობეთ გათავხედებულ მტერს ამიერკავკასიისაკენ, ბაქოს ნავთობისაკენ. მე-18 არმიასთან ერთად თქვენ სახელოვანი ბრძოლის გზა განვლეთ კავკასიონის მთების კალთებიდან საბჭოთა მეომრების მიერ განთავისუფლებულ პრაღამდე — მოძმე ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქამდე.

აზერბაიჯანელი ხალხი, ჩვენი რესპუბლიკის კომუნისტები და ყველა მშრომელი თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ, უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით გეკიდებიან. ყველა ისინი გულითადად და სიხარულით მოგესალმებიან როგორც ყველაზე სასურველ და ძვირფას სტუმარს!

აზერბაიჯანის სს რესპუბლიკისა და აზერბაიჯანის კომპარტიის ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს დღესასწაულში მონაწილეობისათვის, თქვა შემდეგ ორატორმა, ჩვენთან ჩამოვიდნენ ყველა მოძმე საბჭოთა რესპუბლიკის, გმირი ქალაქების — მოსკოვისა და ლენინგრადის დელეგაციები.

მხურვალედ, მთელი სულითა და გულით მივესალმებით წარმომადგენლებს ჩვენი უფროსი ძმის — რუსეთის ფედერაციისას, რომელიც პირველია თანასწორთა შორის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელოვან თანამეგობრობაში.

(დასასრული მე-4 გვერდზე).



ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში, ლენინური გზით

(დასასრული)

აზერბაიჯანი ძველთაგანვე დაკავშირებულია რუსეთთან. 150 წელზე მეტი ხნის წინათ სახელმწიფოებრივად დამკვიდრდა აზერბაიჯანელი ხალხის კავშირი დიდ რუს ხალხთან. რუს ხალხთან ჩვენი ძმობა განმტკიცებულია მეფის თვითმპყრობელობასთან ბრძოლებში, რევოლუციის გამარჯვებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლებში ბარიკადებზე, სამოქალაქო ომის ბრძოლის ველებზე, დიდი სამამულო ომის მკაცრ წლებში ერთად დაღვრილი სისხლით. რუსი ხალხის დახმარებით განუყრელად დაკავშირებულია ერთმანეთთან აზერბაიჯანის მშრომელთა ყველა მონაპოვარი ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში. აზერბაიჯანელი ხალხი უსაზღვროდ მადლიერია თქვენი, ძვირფასო რუსო ძმებო, უდიდესი, ფასდაუდებელი დახმარებისა და მხარდაჭერისათვის ახალი ცხოვრების მშენებლობაში.

ჩვენს ზეიმზე მთელი სულითა და გულით მივესალმებით რუსეთის ფედერაციის დელეგაციას რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხ. ა. მ. შკოლნიკოვის მეთაურობით.

ჩვენს ზეიმს ესწრება საბჭოთა კავშირის დედაქალაქ მოსკოვის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ვ. თ. პრომისლოვი.

მოსკოვი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხისათვის, მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანისათვის უსაზღვროდ ძვირფასი და ახლობელი ქალაქია. 1920 წლის აპრილის დღეებში ლენინმა მოსკოვიდან პირველმა მიულოცა აზერბაიჯანელ ხალხს ისტორიული გამარჯვება. მოსკოვს ვუზიარებთ ყველა ჩვენს სიხარულს, გეგმებსა და ოცნებებს. მოსკოვი ქვეყნის გული, მისი სუნთქვა, მისი ტვინია. დედაქალაქისადმი ჩვენი რესპუბლიკის საიუბილეო პატაკი იყო აზერბაიჯანის ამასწინანდელი დღეები მოსკოვში. [illegible]

...მამულური წყობილების წინააღმდეგ საერთო კლასობრივ ბრძოლაში, ჩვენი ძმობა ომის ქარცეცხლში გამოიწრთო. ბელორუსიის ტყეებში — უშიშარი სახალხო შურისმაძიებლების მხარეში, რომლებიც შიშის ზარს სცემდნენ ჰიტლერელ ოკუპანტებს, — საბჭოთა კავშირის სხვა ხალხების შვილების მხარდამხარ იბრძოდნენ აზერბაიჯანელებიც. ამჟამად საერთო დიდი მიზნით ფრთაშესხმულნი ერთად ვიბრძვით ლენინის წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის, ერთად ვმონაწილეობთ კომუნისტურ მშენებლობაში.

გთხოვთ აზერბაიჯანელი ხალხის გულითადი სალამი გადასცეთ ჩვენს ძვირფას უკრაინელ და ბელორუს ძმებს.

მოხარული ვართ ჩვენთან სტუმრად ვიხილოთ ჩვენი კეთილი მეზობლები. სულითა და გულით მივესალმებით საქართველოს მშრომელთა დელეგაციას, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. პ. მჟავანაძე, და სომხეთის მშრომელთა დელეგაციას სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ა. ე. ქოჩინიანის მეთაურობით.

აზერბაიჯანელ ხალხს ქართველ და სომეხ ხალხებთან ანათესავებს საერთო ისტორიული ბედი, მრავალსაუკუნოვანი სიახლოვე და ძმობა. საუკუნეებში გაუდგამს ფესვი ამ მეგობრობას. ამიერკავკასიის ხალხები მკერდით იცავდნენ უცხოელ დამპყრობთაგან თავიანთ მიწაწყალს, ერთად იბრძოდნენ მეფის თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ ნათელი მომავლისათვის, ერთმანეთს ეხმარებოდნენ ინტერვენტების განდევნასა და ანტიხალხური რეაქციული რეჟიმების დამხობაში.

დღეს ჩვენ გვაერთიანებს მრავალმხრივი საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობა. ძმური მეგობრობის ვითარებაში ჩაიარა მიმდინარე იუბილეს წინ ჩვენი რესპუბლიკის დღეებმა საქართველოსა და სომხეთში. ერთ მწყობრში, ხელიხელჩაკიდებულნი მივდივართ იმ საერთო მიზნისაკენ, რომელიც კომუნისტურმა პარტიამ, დიდმა ლენინმა დაგვისახა.

ნება მიბოძეთ აზერბაიჯანელი ხალხის სახელით მხურვალე მადლობა გადავუხადო მოძმე ქართველ ხალხსა და მოძმე სომეხ ხალხს იმისათვის, რომ ისინი იზიარებენ ჩვენს დღესასწაულს, ჩვენს ზეიმს, ჩვენს სიხარულს.

მეგობრობამ მანძილი არ იცის. მრავალი კილომეტრი გვაშორებს უზბეკეთს, ყაზახეთს, ყირგიზეთს, ტაჯიკეთს, თურქმენეთს, მაგრამ ჩვენ ერთნაირად ვგრძნობთ ამ ხალხების გულთბილობას, ვიცით, რომ ამ მოძმე რესპუბლიკების ხალხები ყოველთვის ჩვენთან ერთად არიან, ყოველდღიურად ვგრძნობთ მათს მონაწილეობას საბჭოთა აზერბაიჯანის საქმეებში.

სულ ახლახან ყაზახ ხალხთან ერთად სიხარულით აღვნიშნეთ ყაზახეთის სს რესპუბლიკისა და ყაზახეთის კომპარტიის შექმნის სახელოვანი 50 წლისთავი. ყაზახეთთან დამყარებული გვაქვს მტკიცე ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა.

როცა საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ლენინი ლაპარაკობდა აღმოსავლეთში სოციალიზმის ფორპოსტზე, მხედველობაში ჰყავდა აზერბაიჯანი და თურქესტანი. ყოფილი თურქესტანის მხარის ტერიტორიაზე აყვავდნენ საბჭოთა შუა აზიის რესპუბლიკები — უზბეკეთი და ყირგიზეთი, ტაჯიკეთი და თურქმენეთი. დიდი ოქტომბრის მზის ქვეშ მიაღწიეს ნამდვილ აყვავებას, გახდნენ, როგორც ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი წინასწარ ჭვრეტდა, გაღვიძებული აღმოსავლეთის მშრომელთა მასების მანათობელი შუქურა. ჩვენში დიდი ხანია დამკვიდრდა შრომითი ურთიერთშემოწმება შუა აზიის რესპუბლიკების მხვნელ-მთესველებთან და მენავთობეებთან, ჩვენ ძმურად ვუზიარებთ ერთმანეთს სულიერი კულტურის ღირებულებებს.

ნება მიბოძეთ მხურვალედ მივესალმო და გულწრფელი მადლობა გადავუხადო უზბეკეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, თურქმენეთის მოძმე ხალხებს, ამ მოკავშირე რესპუბლიკების დელეგაციათა ხელმძღვანელებს — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. შ. რ. რაშიდოვს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. დ. ა. კუნაევს, რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების პირველ მდივნებს ამხანაგებს ტ. უ. უსუბალიევს, დ. რ. რასულოვს, მ. გ. გაპუროვს სახით.

მოხარული ვართ ჩვენთან ვიხილოთ საბჭოთა ბალტიისპირეთის რესპუბლიკების დელეგაციები. აზერბაიჯანელი ხალხი სათუთად უფრთხილდება მეგობრობას ლიტველ, ლატვიელ და ესტონელ ხალხებთან, აფასებს მათს წვლილს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საერთო საქმეში.

ჩვენს დღესასწაულს ესწრება დელეგაცია მოლდავეთის სს რესპუბლიკის მშრომელებისა, რომელთანაც გვაკავშირებს მრავალი წლის და მტკიცე მეგობრული ურთიერთობა, ჩვენი რესპუბლიკების მშრომელები ერთმანეთს ეჯიბრებიან ახალი გამარჯვებებისათვის სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

მხურვალედ მივესალმებით და გაწეული პატივისცემისათვის დიდ მადლობას ვუხდით ლიტვის, მოლდავეთის, ლატვიისა და ესტონეთის მოძმე ხალხებს აქ დამსწრე დელეგაციების სახით, რომლებსაც ხელმძღვანელობენ რესპუბლიკის კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების პირველი მდივნები ამხანაგები: ა. ი. სნეჩკუსი, ი. ი. ბოდიული, ი. გ. კებინი, ლატვიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ი. ი. რუბენი.

ჩვენს დღესასწაულზე დელეგაციათა შემადგენლობაში ჩამოვიდნენ პარტიის დაღესტნის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. მ. ი. უმახანოვი, პარტიის ჩაჩნეთ-ინგუშეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ხ. ხ. აპრიატკინი, პარტიის სტავროპოლის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. მ. ს. გორბაჩოვი, პარტიის ხარკოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. გ. ი. ვაშჩენკო, პარტიის მოგილიოვის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ლ. მ. ბარაბანოვა, ასტრახანის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ი. გ. დუდინკოვი.

ჩვენი ხალხის სახელით მხურვალედ მივესალმებით და კომუნისტური მშენებლობის ამოცანების განხორციელებაში შემდგომ წარმატებებს ვუსურვებთ დაღესტნისა და ჩაჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკების, სტავროპოლის მხარის, ასტრახანის, ხარკოვისა და მოგილიოვის ოლქების მშრომელებს.

აზერბაიჯანელი ხალხის ნათელი დღესასწაულის გასაზიარებლად ჩამოვიდა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სახელგანთქმული მხედართმთავარი, დიდი სამამულო ომის გმირი თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი ამხ. ა. ა. გრეჩკო. სამხედრო დელეგაციის სახით მხურვალედ მივესალმებით ჩვენს სახელოვან საბჭოთა არმიას და სამხედრო-საზღვაო ფლოტს და ვუსურვებთ მთელ მის პირად შემადგენლობას შემდგომ წარმატებებს ჩვენი სამშობლოს სამხედრო ძლიერების განმტკიცებაში.

როგორც ახალგაზრდა საბჭოთა თაობის წარმომადგენელი, რომელმაც ღირსეულად უნდა განაგრძოს და ამრავლოს თავისი უფროსი ამხანაგების სახელოვანი საქმენი, აქ არის სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ე. მ. ტიაჟელნიკოვი.

ნება მიბოძეთ ჩვენს საბჭოთა ახალგაზრდობას, მის მებრძოლ რაზმს — ახალგაზრდობის ლენინურ კომუნისტურ კავშირს ვუსურვოთ შემდგომი ნაყოფიერი წარმატებანი სწავლასა და მუშაობაში, მთელ მის მრავალმხრივ საქმიანობაში.

აზერბაიჯანელი ხალხის მთელი გულუხვობით ერთხელ კიდევ გიუბნებით თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ, თქვენ, ჩვენო ძვირფასო სტუმრებო უდიდეს მადლობას თქვენი ყურადღებისა და პატივისცემისათვის, რაც გამოიჩინეთ რესპუბლიკის მშრომელებისადმი, საიუბილეო დღესასწაულში თქვენი მონაწილეობისათვის.

აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით და დავალებით ამხ. გ. ა. ალიევი დიდ, შესანიშნავ დღესასწაულს ულოცავს აზერბაიჯანის ყველა მშრომელთ — მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, კომუნისტებსა და კომკავშირელებს, ქალიშვილებსა და ჭაბუკებს — და უსურვებს მათ ახალ მიღწევებს ჩვენი დიადი სამშობლოს საკეთილდღეოდ, რომელიც ძლევამოსილად მიდის წინ კომუნიზმისაკენ. დარბაზში დიდხანს არ ცხრება ტაში.

საზეიმო სხდომა გახსნილად ცხადდება. ჟღერს საბჭოთა კავშირისა და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

საზეიმო სხდომის მონაწილენი ერთსულოვნად, დიდი აღმაფრენით ირჩევენ საპატიო პრეზიდიუმს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს შემადგენლობით.

ყველანი ფეხზე დგებიან, როცა გაისმის საზეიმო მარში და დარბაზში შემოაქვთ ორი ლენინის ორდენით დამშვენებული აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის დროშა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს სამახსოვრო დროშა.

მოხსენება „აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის 50 წელი" გააკეთა აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ა. ალიევმა.

ორმოცდაათი წლის წინათ აზერბაიჯანის მუშებმა და მშრომელმა გლეხობამ კომუნისტთა ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით აზერბაიჯანის მიწაწყალზე აღმართეს საბჭოების ხელისუფლების დროშა, თქვა გ. ა. ალიევმა. თავის დაბადებას საბჭოთა აზერბაიჯანი უნდა უმადლოდეს დიდ ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას.

აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება მოასწავებდა აზერბაიჯანელი ხალხის ეროვნული აღორძინებისა და სოციალისტური აყვავების დაწყებას. განვლილი 50 წელი იყო უდიდესი სოციალისტური გარდაქმნების, საბჭოთა აზერბაიჯანის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის სწრაფი განვითარების, მეცნიერებისა და კულტურის გაფურჩქვნის წლები.

ახორციელებდა რა ლენინის ანდერძს, აზერბაიჯანელმა ხალხმა მოკლე ისტორიულ ვადაში ბოლო მოუღო საუკუნოვან ჩამორჩენას და გადააქცია აზერბაიჯანი, როგორც ეს ლენინმა გვიანდერძა, სანიმუშო სოციალისტურ რესპუბლიკად აღმოსავლეთის მიჯნაზე. გვახარებს ის, რომ ლენინის საიუბილეო წელს აღვნიშნავთ აზერბაიჯანის რესპუბლიკისა და კომპარტიის 50 წლისთავს.

დღეს, როგორც ყოველთვის, ლენინი ჩვენთან არის. ლენინის ზრუნვა, ყურადღება და მხარდაჭერა შთააგონებდნენ აზერბაიჯანის ბოლშევიკებს, მშრომელებს ცარიზმისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის საბრძოლველად. ლენინის სახელთან განუყრელად დაკავშირებულია ყველა ჩვენი წარმატება სოციალიზმის მშენებლობაში. მარად ცოცხალი ლენინური მოძღვრება იყო, არის და იქნება ჩვენი გზის მანათობელი ვარსკვლავი კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში!

განვლილი ნახევარი საუკუნის მანძილზე საბჭოთა აზერბაიჯანის მიღწევები კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის ნამდვილი ტრიუმფი, ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობისა და ძმობის იდეების ხორცშესხმაა. აი რატომ არის, რომ აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის — საბჭოთა რესპუბლიკების დიდი თანამეგობრობის განუყოფელი ნაწილის — ნახევარსაუკუნოვანი იუბილე გახდა არა მარტო აზერბაიჯანელი ხალხის, არამედ ყველა მოძმე საბჭოთა ხალხის დღესასწაული.

აზერბაიჯანის სს რესპუბლიკისა და აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს ვდღესასწაულობთ ღირსშესანიშნავ დროს, როცა კომუნისტები, მთელი საბჭოთა ხალხი ემზადებიან ღირსეულად შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობას.

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბაქოს კომუნის გმირულ ეპოპეას, თქვა შემდეგ ორატორმა. მიუხედავად ბაქოს პროლეტარიატის გმირული წინააღმდეგობისა, საბჭოთა ხელისუფლება ბაქოში 1918 წლის ივლისის დამლევს უცხოელ ინტერვენტთა და შინაური კონტრრევოლუციის ჭარბი ძალების შემოტევით დროებით დამარცხდა. ინგლისელმა ინტერვენტებმა და მათმა ესერმა დაქირავებულებმა დახვრიტეს რევოლუციის მამაცი რაინდები — 26 ბაქოელი კომისარი.

რევოლუციის სწორედ ასეთ გმირებზე ლაპარაკობდა მხურვალედ და მკაფიოდ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ მოხსენებაში: „ბოლშევიკებს ხვრეტდნენ, ალპობდნენ კატორღაში, აწამებდნენ საპყრობილეებში. მაგრამ იქ, სადაც იღუპებოდა რევოლუციის ერთი მებრძოლი, მწყობრში დგებოდა ათობით ახალი. ისინი ნამდვილი გმირები იყვნენ, უდრეკი ნებისყოფისა და ვაჟკაცობის, მაღალი იდეურობისა და კრისტალური სიწმინდის, განსაკუთრებული სიმტკიცისა და შეუპოვრობის ადამიანები. მათ მიუძღოდათ თავისი საქმის სიმართლის, რევოლუციის გარდუვალი გამარჯვების ურყევი რწმენა. პარტიის საქმე, რევოლუციის საქმე მათთვის წმიდათაწმიდა იყო და მას ყველაფერს ახმარდნენ, რაც კი გააჩნდათ".

1920 წლის 11-12 თებერვალს ბაქოში, იატაკქვეშეთის პირობებში გაიმართა აზერბაიჯანის კომუნისტური ორგანიზაციების პირველი ყრილობა, რომელზეც შეიქმნა აზერბაიჯანის კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა), როგორც კომუნისტთა ლენინური პარტიის შემადგენელი, განუყოფელი ნაწილი.

27 აპრილს ღამით აზერბაიჯანელი ხალხის ცხოვრებაში მოხდა ისტორიული მოვლენა, გაიმარჯვა საბჭოთა ხელისუფლებამ. შეიქმნა აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. აზერბაიჯანი დაადგა სოციალისტური შემოქმედების გზას პარალიზებული ეკონომიკის, უცხოელი ინტერვენტებისა და მუსავატელების მიერ გაჩანაგებული სახალხო მეურნეობის პირობებში.

თავის შემოქმედებით შრომაში აზერბაიჯანელი ხალხი მარტო არ ყოფილა, ხაზი გაუსვა გ. ა. ალიევმა, მისი ძალები მრავლდებოდა ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხებთან ერთიანობით. საბჭოთა ხალხების მეგობრობამ და ურთიერთდახმარებამ საფუძველი ჩაუყარა თვითეული რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის სწრაფ და ყოველმხრივ განვითარებას, თვითეული სოციალისტური ერის აყვავებას.

აზერბაიჯანის, ისე როგორც მთელი ამიერკავკასიის კომუნისტებისათვის პროგრამული მნიშვნელობა ჰქონდა ვ. ი. ლენინის 1921 წლის 14 აპრილის წერილს „აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნისა და მთიელთა რესპუბლიკის ამხანაგ კომუნისტებს".

ურთულესი პოლიტიკური და ეკონომიური ამოცანების გადაჭრაში აზერბაიჯანის კომუნისტებსა და ყველა მშრომელს უდიდეს დახმარებას უწევდნენ პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა მთავრობა და პირადად ვ. ი. ლენინი. ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი ნამდვილ მშობლიურ მზრუნველობას იჩენდა ნავთობის მრეწველობის აღორძინებისათვის, აზერბაიჯანში სარწყავ სამუშაოთა განხორციელებისა და მებამბეობის განვითარებისათვის, ბაქოსა და აზერბაიჯანის სოფლის მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

საბჭოთა წლებში რესპუბლიკის მრეწველობის საერთო პროდუქცია 70-ჯერ გაიზარდა. დღეს აზერბაიჯანის მრეწველობა ყოველ 12 დღეში უშვებს იმდენ პროდუქციას, რამდენსაც აწარმოებდა რევოლუციამდე 12 თვეში, ელექტროენერგიის გამომუშავება კი 105-ჯერ მეტია, ვიდრე 1913 წელს იყო.

ნავთობის კოშკურები სამრეწველო პეიზაჟის განუყოფელი ნაწილი გახდა არა მარტო ბაქოს გარეუბნებში, არამედ რესპუბლიკის ბევრ სხვა რაიონშიც. ისინი ამაყად აღმართულან კასპიის ზღვაშიც და ცხადყოფენ საბჭოთა ადამიანის, აზერბაიჯანის სახელოვან საზღვაო მენავთობეთა ჰეროიკასა და შრომის სიდიადეს.

სწრაფად იზრდება ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა, რომელმაც უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე გაასამკეცა თავისი პროდუქციის გამოშვება. განუწყვეტლივ იზრდება რესპუბლიკის ეკონომიკაში მეტალურგიული მრეწველობის ხვედრითი წონა. ფართოდ განვითარდა მანქანათმშენებლობა. ხელახლა შეიქმნა მსუბუქი და კვების მრეწველობა.

მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის საშუალებების, კაპიტალური მშენებლობის განვითარებას თან სდევს უმნიშვნელოვანესი პროცესი — იზრდება მუშათა კლასი, რომლის რიცხვი თითქმის ხუთჯერ გაიზარდა 1928 წელთან შედარებით.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო აზერბაიჯანის სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებს. რესპუბლიკის მინდვრებში მუშაობს 47 ათასი ტრაქტორი, 4 ათასზე მეტი მარცვლეულის კომბაინი, 1.500-ზე მეტი ბამბის საკრეფი მანქანა, 18 ათასი ავტომობილი, მაღალი წარმადობის ბევრი სხვა ტექნიკა. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა ხარჯავს 600 მილიონ კილოვატ-საათ ელექტროენერგიას.

დიდ საირიგაციო და სამელიორაციო სამუშაოთა განხორციელებამ საშუალება მოგვცა ერთიორად გაგვედიდებინა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ფართობი, 1913 წელთან შედარებით შარშან ხამი ბამბის წარმოება თითქმის ხუთჯერ გაიზარდა, თამბაქოსი — 24,5-ჯერ, ხოლო ყურძენი მოვკრიფეთ 54-ჯერ მეტი; ორჯერ და მეტად გაიზარდა ხორცისა და რძის წარმოება.

შემდეგ მომხსენებელმა ილაპარაკა მშრომელთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისა და კეთილდღეობის განუხრელი აღმავლობის, მუშათა, კოლმეურნეთა და მოსამსახურეთა ფულადი შემოსავლის ზრდის, საბინაო მშენებლობის გაქანების შესახებ. მარტო უკანასკნელი 20 წლის მანძილზე აშენდა თითქმის 270 ათასი ბინა, რომელთა საერთო ფართობი 26 მილიონ კვადრატულ მეტრს აღემატება.

სოციალიზმმა, აღნიშნა ამხ. ალიევმა, განუზომლად გაამდიდრა აზერბაიჯანელი ხალხის სულიერი ცხოვრება, დასახა განათლების განვითარების, მეცნიერების მძლავრი აღმავლობის, ლიტერატურისა და ხელოვნების აყვავების უსაზღვრო შესაძლებლობანი. ამჟამად აზერბაიჯანში ყველა სახეობის სწავლება მოიცავს 1 მილიონ 800 ათას კაცს. ეს ნიშნავს, რომ რესპუბლიკის ყოველი მესამე მოქალაქე სწავლობს.

აზერბაიჯანელ მშრომელებს შეგნებული აქვთ, ხაზი გაუსვა მომხსენებელმა, რომ რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში მოპოვებული წარმატებანი მარტო მათი საკუთარი შრომის შედეგი როდია, არამედ ჩვენი დიადი მრავალეროვანი სამშობლოს ყველა მოძმე რესპუბლიკის, ყველა ხალხის თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შედეგიც არის, რომლებიც ყოველწლიურად იზრდება და მტკიცდება. სულ უფრო მრავალმხრივი ხდება ჩვენი ხალხების თანამშრომლობა საერთო მიზნისათვის — კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

ჩვენი ხალხი სულითა და გულით უხდის მადლობას უფროს ძმას — დიდ რუს ხალხს იმ უდიდესი დახმარებისათვის, რაც გაუწია საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში, სოციალისტურ და კომუნისტურ მშენებლობაში. აზერბაიჯანელი ხალხი მადლობას უძღვნის ყველა მოძმე საბჭოთა ხალხს, რომელთა დახმარებით შენდება ინდუსტრიის გიგანტები, ხორციელდება ახალი ტექნოლოგიური პროცესების ათვისება, სოფლის მეურნეობის უზრუნველყოფა ტექნიკით.

თავის მხრივ აზერბაიჯანელი მშრომელები ეხმარებიან მოძმე ხალხებს, უზიარებენ თავიანთი შრომის შედეგებს.

ჩვენი გამარჯვებების, საბჭოთა ადამიანის ყველა მიღწევის წყაროა, — განაგრძო გ. ა. ალიევმა, — პარტიისა და ხალხის ერთიანობა. კომუნისტური პარტიის ძალისა და ავტორიტეტის წყარო მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებისადმი ერთგულება, მისი მონოლითური ერთიანობა, ხალხთან განუყრელი კავშირი.

ნახევარი საუკუნის წინათ აზერბაიჯანის კომუნისტური პარტია აერთიანებდა 4 ათას წევრს, დღეს მის რიგებში 250 ათასზე მეტი კომუნისტია.

აზერბაიჯანის კომუნისტური პარტია პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეების ცოცხალი განსახიერებაა. ახლა მის რიგებში გაერთიანებული არიან ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები 70 ერისა და ეროვნების შვილები.

პარტიის XXIII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1969 და 1970 წლების პლენუმებზე, აღნიშნა ამხ. ალიევმა, ღრმად და კრიტიკულად გავუკეთეთ ანალიზი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მდგომარეობას, პარტიული ორგანიზაციების საქმიანობას სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის დარგში და დავსახეთ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის, რესპუბლიკის წინაშე დასახული სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების წარმატებით შესრულების კონკრეტული ღონისძიებანი.

თავიანთი რესპუბლიკისა და აზერბაიჯანის კომპარტიის იუბილე, თქვა დასასრულ მომხსენებელმა, მუშებმა, კოლმეურნეებმა, ინტელიგენციამ აღნიშნეს დიდი შრომითი წარმატებებით. ასობით საწარმომ, კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ ვადამდე შეასრულა ხუთწლედის დავალებანი.

აჯამებენ რა სოციალიზმისა და კომუნიზმისათვის ნახევარი საუკუნის ბრძოლის შედეგებს, რესპუბლიკის კომუნისტები და ყველა მშრომელნი აღუთქვამენ სკკპ ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას, აღუთქვამენ თქვენ, ლეონიდ ილიას-ძევ, რომ საბჭოთა აზერბაიჯანის მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია დაუცხრომლად ამრავლებენ მეცადინეობას, განავითარებენ თავიანთ მიღწევებს, რათა ღირსეული წვლილი შეიტანონ ჩვენი დიადი მიზნის განხორციელებაში —კომუნიზმის აშენებაში!

(ამხ. გ. ა. ალიევის მოხსენება დამსწრეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს. მოხსენების დროს ბევრჯერ გაისმა ტაში).

სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხ. ლ. ი. ბრეჟნევს. საზეიმო სხდომის მონაწილენი ფეხზე ამდგარნი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ეგებებიან მას.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა საზეიმო სხდომის პრეზიდიუმს გადასცა რესპუბლიკისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმების ტექსტი.

შემდეგ გამოვიდა გ. ა. ალიევი, რომელმაც დიდი მადლობა გადაუხადა პარტიასა და მთავრობას ძვირფასი ჯილდოსათვის, ოქტომბრის რევოლუციის ორდენისათვის, რომელიც ახლა კიაფობს საბჭოთა აზერბაიჯანის დროშაზე ორი ლენინის ორდენის გვერდით.

მან თქვა, რომ ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გულითად მისალმებაში არა მარტო მაღალი შეფასება აქვს მიცემული რესპუბლიკის მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის, ყველა მშრომელის აღმშენებლობითს საქმიანობას საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე, არამედ აგრეთვე დასახულია შემდგომი მუშაობის პროგრამა, განსაზღვრულია უმნიშვნელოვანესი ამოცანები კომუნისტური მშენებლობის საქმეში.

აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით, რესპუბლიკის კომუნისტთა და ყველა მშრომელთა სახელით გ. ა. ალიევმა გულწრფელი და გულითადი მადლობა გადაუხადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, საბჭოთა მთავრობას ამ შეფასებისათვის და აღუთქვა, რომ აზერბაიჯანის კომუნისტური პარტია, მუშათა კლასი, გლეხობა, რესპუბლიკის მშრომელი ინტელიგენცია მთელ ძალღონეს, მთელ ენერგიას მოახმარენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებას.

შემდეგ აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ა. ხალილოვმა სიტყვა მისცა ზეიმზე ჩამოსულ დელეგაციათა ხელმძღვანელებს.

მოძმე აზერბაიჯანელ ხალხს მიესალმნენ ზეიმზე ჩამოსულ დელეგაციათა ხელმძღვანელები: რუსეთის ფედერაციისაგან — რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. ა. მ. შკოლნიკოვი; უკრაინის სს რესპუბლიკისაგან — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. პ. ე. შელესტი; ბელორუსიის სს რესპუბლიკისაგან — ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. ს. ო. პრიტიცკი; საქართველოს სს რესპუბლიკისაგან — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. პ. მჟავანაძე; უზბეკეთის სს რესპუბლიკისაგან — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. შ. რ. რაშიდოვი; ყაზახეთის სს რესპუბლიკისაგან — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. დ. ა. კუნაევი; ლიტვის სს რესპუბლიკისაგან — ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ა. ი. სნეჩკუსი; მოლდავეთის სს რესპუბლიკისაგან — მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ი. ი. ბოდიული; ლატვიის სს რესპუბლიკისაგან — ლატვიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ი. ი. რუბენი; ყირგიზეთის სს რესპუბლიკისაგან — ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ტ. უ. უსუბალიევი; ტაჯიკეთის სს რესპუბლიკისაგან — ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. დ. რ. რასულოვი; სომხეთის სს რესპუბლიკისაგან — სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ა. ე. ქოჩინიანი; თურქმენეთის სს რესპუბლიკისაგან — თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. მ. გ. გაპუროვი; ესტონეთის სს რესპუბლიკისაგან — ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ი. გ. კებინი; ქალაქ მოსკოვისაგან — მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ვ. თ. პრომისლოვი; ქალაქ ლენინგრადისაგან — სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. გ. ვ. რომანოვი.

მათ მხურვალედ მიულოცეს აზერბაიჯანის მშრომელებს რესპუბლიკისა და აზერბაიჯანის კომპარტიის ნახევარი საუკუნის იუბილე.

საზეიმო სხდომის მონაწილეებს პიონერული სალამი გადასცეს და მიულოცეს ნორჩმა ლენინელებმა.

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა დიდი აღმავლობით მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი.

აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ი. იბრაგიმოვმა გულითადი მადლობა გადაუხადა დელეგაციათა ხელმძღვანელებს მისალმებისათვის, აზერბაიჯანელი ხალხისადმი გამოთქმული კეთილი სურვილებისათვის.

აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომა დამთავრდა პარტიული ჰიმნის „ინტერნაციონალის" სიმღერით.

ბაქოში გამართულმა საიუბილეო ზეიმმა ერთხელ კიდევ ცხადყო საბჭოთა აზერბაიჯანის მშრომელების მონოლითური შეკავშირება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, საბჭოთა ქვეყნის მოძმე ხალხთა ურღვევი მეგობრობა, რომლებიც მტკიცე ნაბიჯით მიდიან წინ ნათელი მომავლისაკენ — კომუნიზმისაკენ.

Б. კოლესოვი,
მ. ბარატიანცი,
(საქდესის სპეც. კორ.).

# გულითადი შეხვედრები

(დასასრული)

გმირმა ამხ. ბ. მ. მამედოვმა ილაპარაკა აზერბაიჯანში საზღვაო ნავთობმოპოვების განვითარებაზე. სერებროვსკის სახელობის ნავთობსარეწი სამმართველოს უფროსმა ამხ. უ. პ. ყულიევმა ილაპარაკა ქვიშის კუნძულის რაიონში საბადოს ათვისების შესახებ.

წარმატებით ამუშავებენ რა ძველ ფართობებს, მენავთობენი დიდ მუშაობასეწევიან ახალი ფართობების ასათვისებლად. სულ ახლახან სარეწი სამმართველოს კოლექტივებმა დაიწყეს ახალი უნიკალური საბადოს „ბახარის" დამუშავება ქვიშის კუნძულიდან 25 კილომეტრზე. მარტო ოთხი ჭაბურღილი აქ დღეღამეში უშვებს 250 ტონა ნავთობს, 400 ტონა კონდენსატსა და 2,6 მილიონ კუბურ მეტრ გაზს.

სერებროვსკის სახელობის ნავთობსარეწის სამმართველოს კოლექტივმა გაზის მოპოვების ხუთწლიანი გეგმა შეასრულა ჯერ კიდევ მიმდინარე წლის 19 აპრილს, ხოლო ნავთობის მოპოვების გეგმა მტკიცედ გადაწყვიტა დაამთავროს 4 ნოემბერს.

სარეწის დათვალიერების შემდეგ გაიმართა შეხვედრა კასპიის გმირ მენავთობეებთან. ძვირფას სტუმრებს ერთსულოვანი ტაშით შეეგებნენ აზერბაიჯანის მუშათა გვარდიის წარმომადგენლები.

სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელით მან გულითადად მიულოცა ზღვის მენავთობეებს, მათი სახით კი რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციას და ყველა მშრომელთ დიდი დღესასწაული — აზერბაიჯანის სსრ და აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავი.

სასიამოვნოა, თქვა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა, რომ ბაქოში ზეიმზე ჩამოვიდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყველა რაზმისა და ჩვენი ქვეყნის ყველა რესპუბლიკის წარმომადგენლები. საბჭოთა აზერბაიჯანის იუბილე საბჭოთა ხალხების მთელი ერთსულოვანი ოჯახის დღესასწაული გახდა.

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკის გაცნობა მკაფიო და ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს. მან მაღალი შეფასება მისცა აზერბაიჯანელი ხალხის გმირულ შრომას, დიდ წვლილს, რომელიც შეაქვთ რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციასა და ყველა მშრომელთ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა გულთბილად ილაპარაკა ზღვის მენავთობეთა — აზერბაიჯანის მუშათა კლასის მოწინავე რაზმის თავდადებულ შრომაზე. ის, რაც ვნახეთ ესტაკადასა და მოედნებზე, თქვა მან, იწვევს აღტაცებასა და პატივისცემას მუშათა კლასისადმი. მენავთობეთა შრომა აქ, ზღვაში, გმირობაზე მეტია.

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა ილაპარაკა იმაზე, თუ რა დაძაბულად იბრძვის საბჭოთა ხალხი ხუთწლედის შესრულებისათვის. სკკპ XXIII ყრილობის მიერ დასახული ხუთწლიანი გეგმის ძირითადი დირექტივები, ხაზგასმით აღნიშნა მან, შესრულდება, ზოგიერთი — გადაჭარბებითაც. ეს ჩვენი არა მარტო ეკონომიური, არამედ პოლიტიკური წარმატებაც არის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი შეეხო ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ძირითად პრობლემებსა და პერსპექტივებს. მან დაწვრილებით ილაპარაკა ჩვენი პარტიის ხაზზე სოფლის მეურნეობის აღმავლობის საკითხებში, იმაზე, თუ რა შედეგები მოაქვს ამ ხაზის განხორციელებას, როგორია სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარების, საბჭოთა ხალხის საარსებო დონის ამაღლების ამოცანები.

ჩვენი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება, ახალგაზრდობის აღზრდა პატრიოტული სულისკვეთებით, ხაზგასმით აღნიშნა ლ. ი. ბრეჟნევმა, — პარტიისა და ხალხის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ნურავის ნუ ჰგონია, რომ ჩვენს ქვეყანასთან შეიძლება ძალის ენით ლაპარაკი! დედამიწაზე არ არის იმაზე გმირი ხალხი, ვიდრე საბჭოთა ხალხია!

ორატორი დაწვრილებით შეეხო კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის საკითხებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, თქვა დასასრულ ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა, მაღალ შეფასებას აძლევს ენთუზიაზმს, ენერგიას შეჯიბრების გაჩაღებაში, რომლის დროშა აღმართეს საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელებმა, ეგებებიან რა პარტიის XXIV ყრილობას. „ეს ხაზგასმით — აღნიშნა მან, კარგი ტრადიციაა და მოწმობს, რომ პარტიას ხალხი ენდობა, პარტიისა და ხალხის ერთიანობა კი საბჭოთა კავშირის ძალის საფუძველია.

ამხანაგმა ბრეჟნევმა გამოთქვა რწმენა რომ აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის ყველა მშრომელნი პარტიის XXIV ყრილობას კარგი შრომითი პატაკით შეეგებებიან.

საპატიო სტუმრის სიტყვა მენავთობეებმა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს. მისი სიტყვის დროს არაერთხელ გაისმოდა ტაში, შეძახილები „ვაშა", გამარჯვებას უსურვებდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს.

თავის მხრივ ნავთობის ზღვის მომპოვებელთა სახელოვანი რაზმის წარმომადგენლებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს აღუთქვეს, რომ აზერბაიჯანელი მენავთობენი არა მარტო შეასრულებენ ხუთწლიან დავალებას, არამედ სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცემენ ასეულ ათასობით ტონა ნავთობს, ახალი შრომითი წარმატებებით აღნიშნავენ პარტიის XXIV ყრილობას.

* * *

იმავე დღეს სტუმრებმა გაისეირნეს ქალაქ ბაქოში. ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი დიდი ინტერესით გაეცნო საბჭოთა აზერბაიჯანის დედაქალაქს, მის ისტორიულ ძეგლებს, არქიტექტურულ ანსამბლებს, ახალმშენებლობებს.

ბაქო, 1 ოქტომბერი. ბაქოელები ძმურად, გულთბილად და სიხარულით ეგებებიან მოკავშირე რესპუბლიკებისა და გმირი ქალაქების — მოსკოვისა და ლენინგრადის დელეგაციებს, რომლებიც რესპუბლიკისა და აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ნახევარი საუკუნის იუბილეს ზეიმზე ჩამოვიდნენ.

დღეს ამაღელვებელი შეხვედრა გაიმართა „ნარიმანოვნავთობის" ნავთობსარეწ სამმართველოში. ზღვის ნავთობგაზის ყამირის დამპყრობლებმა სტუმრებს უჩვენეს რესპუბლიკაში ყველაზე ახალგაზრდა ნავთობსარეწი სამმართველო, რომელიც ბაქოს არქიპელაგის ნავთობისა და გაზის მდიდარ საბადოთა რაიონში შეიქმნა. პირველი ნავთობი 1965 წელს მიიღეს. ახლა სამშობლო ყოველ დღეღამეში იღებს დაახლოებით ათი ათას ტონა „შავ ოქროს".

დელეგაციის წევრებმა იმოგზაურეს წყალზედა ქუჩებით, გაეცნენ ზღვის ჭაბურღილების გაყვანის, ნავთობის მოპოვების ტექნოლოგიის, მენავთობეთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობებს.

ნაშუადღევს რუსეთის ფედერაციის დელეგაცია, რომელსაც რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. მ. შკოლნიკოვი მეთაურობს, ეწვია აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტს. უკრაინის სსრ დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პ. ე. შელესტის მეთაურობით იყო ოლეფინების სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში. აზერბაიჯანის ს. მ. კიროვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივს ესტუმრა უზბეკეთის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის შ. რ. რაშიდოვის მეთაურობით. ბაქოს № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკის კოლექტივი მასპინძლობდა ყაზახეთის სსრ დელეგაციას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის დ. ა. კუნაევის მეთაურობით. საქართველოს სსრ დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვ. პ. მჟავანაძის მეთაურობით ეწვია ა. აზიზბეკოვის სახელობის ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტს. ლიტვის დელეგაცია ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ა. ი. სნეჩკუსის მეთაურობით იყო აზერბაიჯანის უზ. გაჯიბეკოვის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში. თურქმენეთის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი მ. გაპუროვი, ეწვია კიშლის მანქანათსაშენებლო ქარხანას. აფშერონის სუბტროპიკული საბჭოთა მეურნეობის კოლექტივის საქმეებს გაეცნო ესტონეთის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. გ. კებინი. ლეიტენანტ შმიდტის სახელობის მანქანათსაშენებლო ქარხანა დაათვალიერა ლატვიის დელეგაციამ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ი. ი. რუბენის მეთაურობით.

სტუმრები ეცნობიან საბჭოთა აზერბაიჯანის ცხოვრებას.

(საქდესის სპეც. კორ.).

ბაქო, 1 ოქტომბერი.

## რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

### ტელევიზია

3 ოქტომბერი

11.00 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 12.30 — მხატვრული ფილმი „შეხვედრა ძველ მეჩეთთან", 14.00 — „ჯანმრთელობა" — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 14.30 — ფერადი ტელევიზიის პროგრამა — ნახატი ფილმი „ბრემენის მუსიკოსები" (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.00 — ეთერშია — ახალგაზრდობა (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.00 — დოკუმენტური ფილმი, 17.05 — ახალი ამბები, 17.10 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ჩემსავით შავი" (ქართულ ენაზე), 18.10 — გადაცემა „ვაკმაყოფილებთ თუ არა მომხმარებელთა მოთხოვნილებას", 18.25 — კონცერტი ბავშვებისათვის, 18.55 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის „ლენინური გაკვეთილი", 19.15 — სპარტაკიადის შესახვედრად — ხელბურთი, 19.40 — „მათი ოქროს ნახელავი", 20.00 — საერთაშორისო პროგრამა. ინტერვიუ საფრანგეთის პრეზიდენტ ჟ. პომპიდუსთან (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.30 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.55 — კონცერტი „მუსიკალური ხელოვნების ვარსკვლავები", 21.35 — გადაცემა „თბილისი. სატელეფონო ქსელი", 22.15 — კინოლექტორიუმი.

რედაქტორი
დ. მეძღვრიშვილი.

კომუნისტი

თბილისი ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-98-03, 99-08-09, პ/მგ მდივნის — 93-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-84, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, სატირისა და ფელეტონის — 99-60-21, უცხოეთის — 93-95-97, წერილების — 99-78-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უდ 10584 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.